

327  
1911



ქართული  
ენციკლოპედია  
ფასი 10 კაპი

# სსსოპრება და სელოპნება

№ 5 კვირეული ჟურნალი. 1911 წ. 9 იანვ. № 5

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

- |                                    |                  |
|------------------------------------|------------------|
| 1) შესანიშნავი ქართველ-უკრაინელი   | ი. გოგებაშვილი.  |
| 2) შორეულს ქვეყანაში თერგმანი      | გ. უბედური.      |
| 3) * * * (აქქსი)                   | ი. გრიშაშვილი.   |
| 4) ნილოსის ძღვენი                  | დ. კილოსანიძე.   |
| 5) შემოდგომა (აქქსი)               | ბაბილანა.        |
| 6) უვარსკვლავო ღამეში              | ნ. ლორთქიფანიძე. |
| 7) ბინდი (აქქსი)                   | გ. უიშვილი.      |
| 8) სევდის ყვავილი                  | კ. აბაშისპირელი. |
| 9) ობოლი მოვკედე... (აქქსი)        | ი. მჭედლიშვილი.  |
| 10) ქართული თეატრი                 | არ. ავ—ან.       |
| 11) ბრეტონული სახალხო პოეზია თარგ. | ალ. სარაჯიშვილი. |
| 12) შევედი ბაღში (აქქსი)           | ი. მჭედლიშვილი.  |
| 13) სათავეში                       | გ. ფოცხოველი.    |
| 14) რედაქციის შინაური საქმეები     |                  |
| 15) მღვიმეში (დრამა) დასასრული     | შ. დადიანი.      |

# ბ ბ მ ნ ტ უ რ ა ძვირი ჯდება. კთხოვით ჟურნალი წლიურათ ან თვიურად გამოიწეოთ.

თუ ჟურნალი რაიმე მიზეზის გამო დაიკეტა,  
 ხვედრი ფული ხელის მომწერთ უსათუოდ  
 უკანვე დაუბრუნდებათ.

## მ ი ი ლ ე ზ ა ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა

ყოველ კვირულ ჟურნალზე (გამოდის 12 ლექემბრიდან).

### ცხოვრება და ხელოვნება

ფასი: წლიურად 5 მან. ნახევარი წლით 2 მან. 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ.

ფულის შემოტანა შემძლება ნაწილ-ნაწილად, არა ნაკლებ ათი შაურისა. რედაქციამ მიიართა ყველა ქართველ მწერლებს, მეცნიერთ და მხატვარ-ხელოვანთ თანაშრომის მიღებისათვის. — განყოფილებათა რ ე დ ა ქ ტ ო რ ე ბ ა.

**პუბლიცისტიკა** ფ. გოგიჩაიშვილი.

**სიტყვა-კაზმული მწერლობა** შ. ანა-

გვისპირელი.

(ბელეტრისტიკა).

**სიტყვა-წყობილი მწერლობა** კ. შავაშვილი.

(პოეზია)

**პედაგოგიკა** ად. მდივანი.

**მხატვრობა და ქანდაკება** ი. ნიკოლაძე.

**ისტორია** იუს. აბულაძე.

**მელიცინა**

ვ. დამასიძე.

**მუსიკა**

ზ. ფაღვიანი.

**ღრამა**

ვ. შალივაშვილი.

**სასცენო ხელოვნება**

ვ. შესნიშვილი.

**კრიტიკა და ბიბლიოგრ.**

ი. ვართაგავა.

**ბუნების მეტყველება**

ს. აბული.

**მიმოხილვა**

ვ. გუნია.

რედაქტორ-გამომცემელი **ნ. ლორთქიფანიძე**

პირველ ნომრიდან დაიწყო ბეჭედა „როსტომიანისა“ (ფილდუსის შესწავლის) და შ. დადიანის დრამის „მღვიმეში“.

რედაქცია. თფილისი, სათავად-ახნაურო ქარვასლა თეატრის გვერდზედ, ტელეფონი № 862, ხელის მოწერა მიიღება აგრეთვე თეატრის კასაში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში; გოლოვინის პროსპექტზე ი. კიკნაძის წიგნის მაღაზიაში „Новая Ръчь“.

Адресъ: Тифлисъ, Дворянская, д. дворянства, рядомъ съ театромъ. Редакция „Цховреба да Хеловნება“ რედაქცია ღიაა —10—3 ს.


1911 წლის 10 იანვრიდან გამოვა **არშახათობით** დიდი ლიტერატურული და პოლიტიკური გაზეთი

# თ ე ბ ი

წლიურათ 2 მან. 50 კან. ნახევარი წლით 1 მან. 50 კან. 3 თვით 1 მანეთი ცალკე ნომერი 5 კან.

დრეკებით ადრესი: Эриванская площ. д. Харазовой

რედაქტორ-გამომცემელი გრ. დასასიძე



# სსრკ-ის და სელოვნება

ბოდიშს ვიქდით წინა ნომრების დაგვიანებისათვის. გთხოვთ  
საჩქაროთ შეგვატეობინო, თუ ჟურნალის ნომრები არ მოგსვლიათ.  
რედაქცია.

## შესანიშნავი ქართველ-უკრაინელი.

იაკობ გოგებაშვილი.

მე მოგახსენებთ ინჟინერ პეტრე ბრაილოვსკიზე, რომელიც იყო უფროსი და  
გამგებელი ბაქოში ნავთის მწარმოებელის საზოგადოებისა. იგი, ჯანდონით სავსე  
ყმაწვილი კაცი, სულ ორმოცდა ხუთის წლისა, უეცრივ გარდაიცვალა ბაქოში ამ  
ორის კვირის წინად და დაკრძალულ იქმნა თბილისში იოანე ღვთის მეტყველის  
ეკლესიის გალავანში. მის დასაფლავებას დაესწრო ფართო რჩეული საზოგადო-  
ება თბილისისა და ბაქოსი. იგი დასაფლავებულ იქმნა იმისთანა გულწრფელი და  
ძლიერი სიმწუხარით, რომელიც წილად ხვდება ხოლმე მხოლოდ რჩეულთა ადა-  
მიანთა, რჩეულთა მოღვაწეთა. ამ იშვიათს სიმწუხარეში პირველი ადგილი დაიჭი-  
რეს ბაქოელმა შეგნებულმა მუშებმა თავისი წარმომადგენელის შუამავლობით.  
ბევრი მხურვალე, ცრემლით სავსე, სიტყვა წარმოითქვა დაკრძალვის ჟამსა! მაგ-  
რამ არც ერთმა არ მიიქცია ისეთი დიდი ყურადღება, როგორც დაიმსახურა  
მუშათა წარმომადგენლის სიტყვამა. ამან დაახასიათა განსვენებულის მაღალი  
ქკუა, ღრმა კაცთმოყვარეობა, სამაგალითო მიუდგომლობა და სამართლიანობა,  
რანდული უშიშრობა და ასე დასკვნა თავისი სიტყვა: იგი იყო დიდებული  
ადამიანი, დიდებული მოქალაქე (великий человекъ, великий гражданинъ-ი)  
(„Закавказская Рѣчь“ 30 დეკემბრისა 1910 წლისა, № 296).

ქართველთა სანუგეშოდ, ეს დიდებული ადამიანი და დიდებული მოქალაქე  
ღვდით ქართველი იყო. მისი ღვდა იყო ქართლის სოფლის ნადარბაზევის მღვდლის  
მახათაძის ასული, სახელად მაგდანი. მაგდანს სკოლა თვალითაც არ ენახა, იცოდა  
მხოლოდ ქართული წიგნი, შინად ნასწავლი, და როცა განსვენებულის მამას  
მისთხოვდა, კენტი სიტყვაც არ იცოდა რუსულად... მაღალი ტანით, ახოვანი  
ავებულეებით, პირისახის მოყვანილობით და გამომეტყველებით განსვენებული პეტ-  
რე პირწავარდნილი ღვდა იყო.

არა ნაკლებ შესანიშნავი იყო მამა განსვენებულისა, ვლადიმირი, დაბალი  
ტანის მცირე-რუსეთელი. სამსახურის ბედ-იღბალს იგი, უკრაინელის ღვდლის



შვილი, გადმოეხვეწნა თავისი საყვარელი სამშობლოდან საქართველოში და დაეხმებოდა მისი ჩვენი ქვეყანა შეჰყვარებოდა, როგორც მეორე სამშობლო. ნადირიძის დროს მისულიყო სოფელს ნადარბაზევში, სწვებოდა იქაურს მღვდელსა, გვართ მახათაძესა და გაეცნო მისი ასული, თვრამეტის წლის მაგდანი. ყმაწვილს ქალს ისეთი მომხიბლავი ჩაბეჭდილება მოეხდინა ვლადიმერ ბრაილოვსკიზე, რომ მაშინვე, დაუყოვნებლივ მიეცა მისთვის წინადადება მეუღლეებაზე. სოფლის ღარიბი მღვდელი ცას დასწვოდა სიხარულით და მაშინვე დიდი სიამოვნებით დასთანხმებულყო, და ქალსაც უარი არ ეთქვა...

რამდენჯერ უთქვამს ვლადიმერს ამ სტრიქონებს დამწერისათვის: „ჩემს მაგდანს რომ სკოლაში ესწავლა, იქნება არ შემერთო, რადგანაც აქაური სკოლა ქართველს ქალს უკარგავს წარმტაცს მიმზიდველობას და მეტ-ნაკლებობით ამახინჯებსა“.

ვლადიმერ ბრაილოვსკის შვილები დედისაგან სწავლობდნენ წმინდა ქართულს ლაპარაკსა; მაგრამ მამა ამითი არა კმაყოფილდებოდა. იგი თხოულობდა, რომ შინვე, სკოლაში შესვლის დრომდე, ესწავლათ ქართული წიგნი და სკოლაშიაც ქართველ მოწაფეებთან ერთად ეარნად ქართულს გაკვეთილებზე. სწორედ ამის გამო მოხდა, რომ ახლად განსვენებულმა პეტრე ბრაილოვსკიმ კარგად იცოდა როგორც ქართული კითხვა, ისე ქართული წერა.

როცა სამოციანს წლებში ვარიანიდან თბილისში მომავალმა გორში ვინახულე ოჯახობა ვლადიმერ ბრაილოვსკისა, რომელთანაც დაახლოებული ნაცნობობა მქონდა, მან მითხრა: ამ ცოტას ხანში ჩემს მაგდანას თბილისში გამოვატან ჩემს რვა წლის ქალსა და გთხოვ იმისთანა სასწავლებელში მიიბარო, სადაც კარგად ასწავლიან ქართულსაცაო.

მაშინ დიდი სახელი ჰქონდა დამსახურებული მაღამ ფაერის ქალთა პანსიონსა და ბრაილოვსკის ცოლმაც მაგდანმა იქ მოინდომა თავისი ქალის მიბარება. როცა ვინახულეთ მაღამ ფაერი, ვკითხვე: თქვენს პანსიონში ასწავლით ქართულს წიგნსა, თუ არა მეთქი? მან მიპასუხა: არა, ჩემს პანსიონში ჯერ ქართული ენა არ შემოგვიღია, რადგანაც ეგ სურვილი ქართველს მშობლებს არ გამოუცხადებიათო.—თუ არ გამოუცხადებიათ, ეგ თქვენი ხატრით მოსვლიათ მეთქი, თორემ გულნაკლულნი კი ყველანი უნდა იყვნენ, იმის გამო, რომ ღვიძლს ენას მათს შვილებს არ ასწავლით-თქო. აი ამ პატარა ქალის მამაც, ჩამომავლობით რუსი, მონატურია, რომ მისმა შვილმა, დედით ქართველმა, ქართული წიგნი კარგად ისწავლოს.—მაშ თუ აგრეა, შემოვიღებ ქართულის ენის გაკვეთილებს, მხოლოდ იმ პირობით, რომ თქვენ თვითონ პირადად იკისროთ ქართულის სწავლებაო.—მე ვუპასუხე: ჩემდა სამწუხაროდ, მე ისეთი რთული თანამდებობით ვარ დატვირთული, რომ ერთი საათიც არა მაქვს თავისუფალი.—ის ხომ შეგიძლიანთ, რომ დამისახელოთ საიმედო მცოდნე პირი მასწავლებლად ქართულის ენისა და ეგზამენატორადაც თქვენ იყოთ ხოლმე წლის ბოლოსაო? მაგას კი სიამოვნებით ვიკისრებ მეთქი, ვუპასუხე. და დაარსდა მაღამ ფაერის პანსიონში ქართულის ენის პატარა კათედრა. ამასთან ერთად იმატა პანსიონში ქართულ მოსწავლე ქალთა რაოდენობამაც, რომელთა რიცხვში მოექცა ბრაილოვსკის ქალიცა.

ქართულის ენის მასწავლებლებად მაღამ ფაერის პანსიონში იყვნენ სემინარიელები: ალექსანდრე ცაგარელი, აწ დამსახურებული პროფესორი, რომელმაც



პროფესორ პეტრიაშვილთან ერთად დაასრულა სემინარია ოთხი წლით ჩემსგან წინ, ნიკო ინაშვილი, მეტად ნიჭიერი ყმაწვილი, ალექსი დედაბრიშვილი და სხვები.

ახლად განსვენებულმა პეტრე ბრაილოვსკიმ სხვა მხრივაც არ უღალატა მამის ანდერძს: მან მეუღლედ ამოირჩია კარგად ცნობილი ქართველის თავადის ასული, და არც მოსტყუვდა. თურმე ცოლ-ქმარს შორის სუფევდა ისეთი ბედნიერი ურთიერთობა, რომელიც ძალიან იშვიათია ჩვენს პსიხოპატიურს დროში.



მიშელ დარიალი (ნანობაშვილი) მისი ვასტროლების გამო.

## შორეულს ქვეყანაში.

ოლივი შრენკისა.

თარგმანი.

გ. უბედური.

ერთს შორეულ ვარსკვლავზე არის ქვეყანა, სადაც ხდება ის, რაც არ ხდება ჩვენს დედა-მიწაზე.

ამ ქვეყანაში სცხოვრობდა ერთი კაცი და ერთი ქალი. ერთად შრომობდნენ, დიდ ხანს დადიოდნენ ერთი გზით და ჰქონდათ ისეთი მეგობრობა, რომელიც ჩვენშიაც შეიძლება.

მაგრამ ვარსკვლავების ქვეყანაში არის ისეთი ჩვეულობა, რომელიც ლარსონის ამ ქვეყნად. იქ არის დაბურული ტყე, და ამ ტყეში, სადაც ხეები ფესვებ გადაჭდობილნი ერთად არიან შეჯგუფულნი და სადაც არასოდეს არ ანათებს მზე, ამართულია საკურთხეველი.

დღით აქ ყველაფერი მიწყნარებულია, ღამით კი, როდესაც მთვარის ან ვარსკვლავების სხივები ციმციმებენ ხეების წვეროებზე, და ძირს კი გამეფებულია სიჩუმე, — მაშინ, თუ მოვა კაცი აქ სრულებით მარტოდ-მარტო, დაეცემა საკურთხეველის ქვის საფეხურებზე, გაიხსნის გულსა და გაიჭრის, როცა სისხლი დაიწყებს საფეხურებზე წვეთას, იმას აუსრულდება ყველა ნატვრა.

ქალი და კაცი მიდიოდენ ერთად ხელ-ჩაკიდებულნი, ქალს იმისთვის სიკეთე სურდა. ერთხელ ღამით, როცა მთვარე ისე ანათებდა, რომ ხეების ყველა ფოთლები ბრწყინავდნენ და ზღვის ტალღები კი ვერცხლის ფრათ ბრწყვიალებდნენ მთვარის შუქზე, ქალი მარტო შევიდა ტყეში. იქ ბნელოდა, მთვარის შუქი ოდნავ ანათებდა იმის ფეხებთან დაცვივნილ ფოთლებს, თავს ზევით კი გადახლართულიყვნენ ხეების ტოტები.

რამდენათაც შორს მიდიოდა ის ტყეში, მით უფრო ბნელდებოდა, ბოლოს მთვარის შუქი სრულებით გაქრა. ქალი მიუახლოვდა საკურთხეველს, დაეშვა მუხლებზე და დაიწყო ლოცვა...

პასუხი არ იყო. მაშინ გაიხსნა გული და იქვე დაგდებული პირიანი ქვით გაიჭრა იგი. სისხლის წვეთები ნელა დაეცა საფეხურებს, და ქალს მოესმა ხმა:

— რას ეძიებ?

იმან უპასუხა:

— არის ისეთი კაცი, რომელიც ყველაფერს მირჩევნია ამ ქვეყნად. მე მსურს, მივსცე იმას ყოველივე კარგი და სანეტარო.

ხმამ ჰკითხა:

— როგორი?

ქალმა უპასუხა:


— არ ვიცი. მაგრამ მინდა მივსცე ის, რაც იმისთვის ყველაზე უკეთესი და სანეტაროა.

ხმამ წარმოსთქვა:

— შენი ლოცვა შეწყნარებულია: ის მიიღებს იმას, რასაც შენ თხოულობ.

ქალი წამოდგა, მიიკრა მაგრად დაჭრილს გულზე ტანისამოსი და გამოვარდა ტყიდან. ხმელი ფოთლები ხმაურობდნენ იმის ფერხთა ქვეშ. ტყის იქით, გაშლილს მინდორზე, წყნარად ქროდა ნაზი ნიავი, ნაპირზე დაყრილი სილა ბრწყინავდა მთვარის შუქზე. ქალი მირბოდა რბილს გატყეპნილს ნაპირზე. ის ჯცებ შესდგა. იქ, წყალზე, რაღაც ინძროდა. ხელი შუბლზე მიიღვა, გაიხედა შორს და დაინახა ნავი, რომელიც განათებული წყლით ჩქარა მიეშურებოდა ფართე ზღვისაკენ. ვილაც იჯდა ნავში; მთვარის სინათლე უშლიდა გაერჩია პირი სახე, მაგრამ ტანი მაინც იცნა ქალმა. ნავი სისწრაფით შორდებოდა იქაურობას. გეგონებოდათ, იმას არავინ ხელმძღვანელობსო. ის მიცურავდა ნაპირიდან შორს, მთვარის სინათლე უშლიდა კარგად ხედვას, მაგრამ ქალი დარწმუნებული იყო, რომ ნავში კიდევ ვილაცა ზის.

სისწრაფით მიცურავდა ნავი წყალში და მიდიოდა უფრო შორს...



შორს... ქალი გარბოდა წყლის ნაპირას, მაგრამ მისი მიკარება კი არ შეეძლო!  
ტანისამოსი გაიშალა, ქალმა გაიშვირა წინ ხელები; მთვარის შუქმა დაიწყა  
თამაში იმის გრძელ, გაშლილ თმაზე.

იმის ახლოს გაისმა ჩურჩული:

— რა მოხდა?

ქალმა პასუხათ წამოიკივლა:

— მე ჩემი სისხლით ვიყიდვ იმისთვის ყველაზე საუკეთესო ნეტარება! მე ის  
იმისთვის მიმქონდა, ის კი შშორდება.

ხმამ ნახად წაიჩურჩულა:

— შენი ლოცვა შეწყნარებულია. იმას მიცემული აქვს ვე სიკეთე.

— რაში მდგომარეობს ვე სიკეთე? გაცხარებით ჰკითხა ქალმა.

ხმამ უპასუხა:

— იმაში, რომ იმას უნდოდა შენი თავიდან მოცილება.

ქალი შეჩერდა.

ნაფი კი გაქრა შორს— შორს ზღვაში, მთვარის შუქს იქით.

ხმამ წყნარად წარმოსთქვა:

— კმაყოფილი ხარ, თუ არა?

იმანაც უპასუხა:

— დიახ, კმაყოფილი ვარ.

ზღვის ტალღები ნაზი უხუილით ეხეთქებოდნენ ნაპირს ქალის ფეხებთან.



\* \* \*

#### ი. გრიშაშვილი.

ღერწამი ხარ ტბის ასული, ცად ასული-ატყორცნილი;

მყინვარი ხარ საოცნებო, მზის სხივთაგან დაკოცნილი.

\* \* \*

და დღეს როცა სიო ფრთხილი თვინი მამყოფაშენს  
ოქროს ქოჩორს გინუჭუჭებს, —  
ეს მიტომ, რომ ვითა რთვილი  
მე ვადნები შენსა ტუჩებს.

მთის თოვლი ხარ ნახ-ნარნარი, ჩამომდნარი, ცივი... ცივი;  
ვარსკვლავი ხარ ცის წიაღით მოწყვეტილი, ღვთაებრივი.

\* \* \*

იცი, ვგრე სანთელივით  
ენების ცეცხლზე რად დამდნარხარ? —  
ეს მიტომ, რომ გმოსავ სხივით,  
ეს მიტომ, რომ მე მიყვარხარ.

# „ნილოსის ძღვენი“.

დ. კილოსანიძე.

(გაგრძელება)

## მ ა ს ტ ა ბ ა .

მდიდარი და გავლენიანი ეგვიპტელებიც არა რჩებოდნენ უკან ფარაონებს: ისინი თავისთვისაც იშენებდნენ მშვენიერ სასაფლაოებს, რომელთაც სახელათ მასტაბას (სკამი) უწოდებდნენ. ეს მასტაბები მრავლათ არიან გაფანტული ყველგან პირამიდების გარეშემო და ეგვიპტელთა რელიგიური რწმენის ისტორიისათვის უფრო მნიშვნელოვანნი არიან, ვიდრე პირამიდები. გარეგნათ მასტაბა წარმოადგენს მოგრძო, ოთხკუთხს, დაბალს (უდიდესი სიმაღლე 4 საჟენი) ყვითელი აგურის და ქვის შენობას დაქანებული კედლებით და ბანით. ყოველი საფლავი შიგნით სამი განყოფილებისაგან შესდგებოდა: ოთახი, სადაც ხალხს შეეძლო შესვლა; იქ იდგა საფლავის ქვა (სტელა) და იქვე ჰხდებოდა მიცვალებულის სულის მოხსენება; სერდაბა, რომელიც რამდენიმე კორიდორიდგან შესდგებოდა; აქ იდგნენ ქანდაკებანი და მიცვალებულის სურათები; და თვით საფლავი—ჭა, რომელიც მასტაბას სწორე ბანიდგან იწყებოდა, ღრმით მიდიოდა სწორეთ იმ ოთახის ქვეშ, სადაც საღმრთო წესებს უგებდნენ მიცვალებულს. ამ განყოფილებაში ინახებოდა დიდი საარქივო მიცვალებულის შემურული გვამით ანუ მუმიით. როგორც პირამიდებში, ისე მასტაბაში ადგილი, საცა თვით საფლავი იმყოფებოდა, დიდს გულმოდგინებით იყო დაფარული, რათა არავის შეეღახა იგი; ამიტომ უცხო თვალის მოსატყუებლათ ნამდვილი შესავლის ახლოს უკეთებდნენ მასტაბას ყალბს კარებს. ძველი ეგვიპტის კერძო საფლავების შინა მოწყობა და მორთულობა შედეგია იმ უძველესი და ძალიან გავრცელებული რწმენისა, რომ საიქიოს ცხოვრება არსებობს. იმათ სწამდათ უკვდავება სულისა, რომელიც ხელახლათ ცოცხლდება, განახლდება, როგორც მზე აღმოსავლეთს, და მიწიერი სიცოცხლის შემდეგ ერთვის ღამეს, როგორც იმალება ოზირისი დასავლეთისკენ, მხოლოთ იმიტომ რომ ხელახლათ აღდგნენ მკვდრეთით. სწორეთ ამ საიქიო ცხოვრებაზედ რწმენიდგან გამომდინარეობდა ზრუნვა სხეული გახრწნისაგან გადაერჩინათ. ამისათვის გვამს შიგნეულობას უღებდნენ, სუნელოვანი ნივთიერებით ავსებდნენ, ახვევდნენ ქსოვილებში, გიჰს გადაასხამდნენ და შემდეგ ჰხატავდნენ. მაგრამ შემურვის ხელოვნება ძველათ განვითარებული არ იყო, ამიტომ სერდაბაში ინახებოდა მიცვალებულის რამდენიმე ქანდაკება, რომელსაც შეუერთდებოდა სული, თუ სხეული გაიხრწნებოდა. ეგვიპტელთა მარტივ წარმოდგენაზედ, რომ საიქიო ცხოვრება გაგრძელებაა სააქაოსი, იყო დამყარებული ის ჩვეულებაც, რომ ნათესავებს მუმიისათვის საკმელი მიჰქონდათ. თუ მიცვალებულს რამე ღვაწლი და სამსახური მიუძღოდა სახელმწიფოს წინაშე, ამ ჩვეულების ასრულებას და დამარხვასაც კისრულობდა სახელმწიფო, რაც ეხლაცა ხდება ხოლმე კულტურულს ქვეყნებში. ამას მოწმობს ერთი წარწერა, საცა ნაჩვენებია, რომ მეფის კარის ექიმმა, რომელმაც ფარაონი მოარჩინა, მიიღო საჩუქრათ მასტაბა და ჭამა-სმა სახელმწიფო ხარჯით სიკვდილის შემდეგ.

## ტ ა ძ რ ე ბ ი .

ნილოსის ველის მცხოვრებთა რელიგიური შეხედულობის ძირითადს დოგმა-






ტათ ითვლება საიქიო ცხოვრების რწმენა და ღმერთთა გულწრფელი პირველმა ხალხი მიიყვანა იმ დასკვნამდის, რომ აეშენებინა პირამიდები და მასტაბები, მეორემ კი—ტაძრების აშენებამდის, ე. ი. შეჰქმნა ხუროთ-მოდღვრება მკვდრებისთვის და ღმერთებისათვის. ხუროთმოდღვრების ნაშთებთან, ნიშნუშებთან სწორეთ ტაძრები უნდა ჩაითვალოს. პირველათ ტაძრებს ეგვიპტელები კლდეებში აკეთებდნენ, მერე კი თანდათან ტაძრებს აშენებდნენ ლერწმისა, ხისა და ბოლოს ქვისაგან. მათმა ხუროთმოდღვრებამ ისე გაიწია, რომ უზარმაზარი შენობები იდგმებოდა და უაღრეს წერტილამდის კი მიაღწია 16—13 საუკუნოებში ქრისტეს წინ. ძველი ეგვიპტელის სარწმუნოება, რომელსაც ფარაონთა ქვეყნის სანახავათ მოსულ ბერძენი მწერლებიც და თანამედროვე გამომკვლევებლებიც განცვიფრებაში მოჰყავდა, ჰქმნიდა განსაკუთრებულს ზრუნვას ღმერთებზედ: ის აშენებდა ტაძარს, ისე კი არა როგორც სამლოცველო სახლს, საცა მას შეეძლო თავისი მრისხანე ღმერთი ლოცვითა და უხვი მსხვერპლით მოელობო, არამედ როგორც სადგომს და სიმაგრეს ღმერთისათვის, რომ იგი დაეცვა მტრისაგან შეურაცყოფისაგან, რაც მორწმუნე ეგვიპტელს უდიდეს უბედურებათ მიაჩნდა. მხატვრის სწორეთ ამ აზრმა, რომ უძლიერესი სიმაგრე შეექმნა ღმერთისათვის, იქამდის მიაღწია, რომ ტაძარს ყოველი ხუროთმოდღვრების სილამაზე მოუსპო და იგი დააგვანა უდიდეს ყუთს დიდი და სქელი კედლებით. ეს შენობები, ისეთი ტაძრები არ იყვნენ, როგორც ახლა გვაქვს წარმოდგენა; ისინი უფრო ქრისტიანეთა მონასტერს წააგავდნენ, რომელიც დიდს ადგილზედაა გაშენებული და სხვა და სხვა შენობებიდგან შესდგება.

ლერწმისა და ხის სამლოცველოები ეგვიპტეს პოლიტიკურ ზრდასთან ერთათ და ცის ქვეშ ლოცვის დახურულ შენობებში გადატანის შემდეგ გარდაიქცნენ პატარა ქვის ტაძრებათ, წმინდა შენობათ, სადაც განსაკუთრებულ ოთახებში იდგა ღმერთის კერპი. სწორეთ ეს უნდა ჩაითვალოს იმ დასაწყისათ, რამაც შემდეგ ბოლო ხანების ტიპის ტაძრები შეჰქმნა, როგორც კარნაკის და ლუქსორის ტაძრებია.

ეგვიპტური ტაძრის გარეგანი სახე კაცს აკვირებს თავისი მეტის მეტი სიდიდით. მაგალითად, ზემო ეგვიპტეში სოფელს კარნაკთან მდებარე ტაძრის ნანგრევებს უჭირავს სივრცით 4 ვერსტი. ტაძარს აქვს შემორტყმული განიერი გალავანი—(5 საყენი), პირამიდისაგან ნაშენი. კედელი თავდება კარნიზით, რაც მთელს შენობას დიდებულს და საიდუმლო ხასიათს აძლევს. ტაძრის უმთავრეს კარამდის მეორე ტაძრის კარებიდგან, ან ერთი ტაძრიდან მეორემდის, მიდიოდა განიერი ხეივანი დიდი ქვებით მოკირწყლული, რომლის ნაპირებზედ იდგნენ უდიდესი, სახით ერთმანეთისაკენ მიმართული სფინქსები. კარნაკის ტაძარში ეს ხეივანი მეტის მეტათ დიდია: სიგრძე აქვს 2 ვერსტი, სიგანე 12 საყენი და ორივე მხარეს დგას ხუთას ხუთასი სფინქსი, რომელნიც, ეგვიპტელთა შეხედულებით, ყოველს ბოროტებას ქვეიდან ტაძრისკენ მიმართულს უკუ ავდებდნენ. ტაძრის შესავალი აღნიშნული იყო პილონით, კოლონებით, ობელისკებით და ანძებით. უმთავრესი შესავალი, ანუ პილონი, თავისთავად წარმოდგენს ხუროთმოდღვრების ორიგინალურ ნაწარმოებს, რომელიც განსაზღვრულს ფორმებში გამოიხატება. პილონი სამი ნაწილიდან შესდგება: ორს პირამიდისებულ კოშკიდგან, რომელნიც ზევით ვიწროვდებიან და დიდი, ზემოთ შევიწროებული, კარებისაგან. კოშკები და კარები მალლა გარეთ გამოწეული კარნიზით თავდებიან, რომელზედაც გაფანტულია სწორე, ვიწრო პალმის ფოთლები, რაც მიძიმე შთაბეჭდილებას ახდენს. პილონის გარეთა კედლის ძირს დატოვებულია თაროები, რაზედაც ამალღებულია



ამოხვრეტილი ქვის ბოძები; ამ ნახვრეტებში უქმე დღეებში ჩასდგამდნენ და დღეები დიდს ანძებს ბაირაღებით, რომლის ფრიალს ტაძარი მანვე სულისაგან უნდა დაეცვა ზევიდგან. პილონის წინ სიმეტრიულათ პორტალის (შესავლის) ორივე მხარეს იდგნენ კოლოსები, ღმერთების ან ფარაონების დიდრონი ქანდაკებანი, რომელნიც თავისი დამშვიდებული და გაქვავებული პოზებით შეესაბამოდნენ შენობის ფლეგმატიურს ხუროთმოძღვრებას. კოლოსების წინ წყვილათ იდგნენ მონოლიტური (მთლიანი, ქვის ერთი ნაჭრიდგან გაკეთებული) ობელისკები, ოთხკუთხი ქვის ბოძები პირამიდისებური ბოლოთი, რომელსაც ლითონის ფურცელი ეფარა. ამ ჟამათ ობელისკის დანიშნულება და აზრის განმარტვა ძნელია; თუმცა შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ობელისკი წარმოადგენს მზის სხივს, რომელიც სიბნელეს ჰფანტავს და ყოველი ბოროტისაგან იცავს. სიტყვა ობელისკი ბერძნულია, და მისი ხმარებაში შემოდება ისტორიკოსს ჰეროდოტს ეკუთვნის. ჰეროდოტმა ობელისკი შამფურს მიაგვანა (ობელოს ბერძნულათ შამფური). შემდეგ ამ შამფურების სიდიდით გაკვირვებულბმა (ზოგჯერ 196 ფუტი სიმაღლე), ირონიულათ მიუმატეს დაკნინებითი სუფიქსი ისკ. ევროპის ობელისკებიდან ეგვიპტურს თავისი სიდიდით წააგავს რომის ობელისკი, რომელიც წმ. იოანე ლატერანელის საყდართანა სდგას (სიმაღლე 179 ფუტი). მთელი ობელისკის მხარეები საესე იყო იეროგლიფებით, რომელიც ტაძრის აშენების ისტორიას მოუთხრობდა. თვით შესავალის ზევით მოთავსებული იყო „ფრთოსანი მზის“ სურათი. ურუგებ შემოხვეული დისკის სახით და ფრთებით. ეს სურათი ერთის მხრივ სახელმწიფო ღვრბიც იყო და წარმოადგენდა ჩქარმომქმედი სხივებიანი მზის და მეფის ძალის სიმბოლოს, ერთიანათ კი ეგვიპტელთა წმინდანს ძერას მოაგონებდა.

(გაგრძელება იქნება)

## შ ე მ რ ა მ ე დ ი.


ბაბილონა.

ღრუბელთა რხევა დაიწყეს  
ჩემს ძახილსა და ხმაზედა,  
ვარსკვლავთა — თრთოლვა, — ჩემითვე  
მთვარე გამოჩნდა ცაზედა! —

თოვლის ფერფლი თავს მომეველო  
და შორს მთაზედ მიიძინა;  
სიზმარია, თუ ოცნება —  
ეტლი ჩემი მიჰქრის წინა...

ციდგან მთვარე ჩამოეშვა,  
დაესვენა მკერდსა ჩემსა;  
ზე ვარსკვლავად ამიტაცა  
და ოლიმპზე გამაზევსა!..

შემდეგ... შემდეგ რას შევერთვი,—  
დედამიწას, თუ ლურჯ ცასა?—  
„ორივესო“, ჩუ ღრუბელმა  
ჩასჩურჩულა ღრუბელს სხვასა...



უვარსკვლავო ღამეში.

ნ. ლორთქიფანიძე.

უვარსკვლავო ღამეში ზღვის ზირად განმარტებით მდგომი ლერწამი ირხედა: ტალღებს დაადებდა უურს და სულ განახული უსმენდა; ტირიფების შტოებში შეეფიქრა თავს და ჩურჩულებდა; ცისკენ აიხედავდა და ტირიდა. არ ვიცოც ცხოვრების ზირველი დღიდან გაქმნის ფერფლით დანაცრილმა გულმა ამომძახა, თუ მართლაც ლერწამი მისთქვამდა; გარკვევით კი გაფიგონე:

„მე გულზე მწუნარება ღდათ დამდობა; მე უფველთვის, თითქოს განგებ, გზაზე გადამეჩხებებს საცხარი სურათი; შენ, უცნობო, რატომ უნდა იყო მხიარული, ძლიან მხიარული? განა არ შეიძლება ჩემი შთაბეჭდელებანი შენც გაიზიარო და ჩემსავსეთ მწუნარეთ ჩაჭვიდო თავი?“

შენ მწუნარებს გაურბინარ. შენ სიამოვნება გსურს! ჭკი გიდი! ვის არ უნდა თავი შეუეღ და ცოლი დედაფუდად?! მე განა მწვეებს მხიარულებს, ტკიბილი დიდინი, სიამოვნება, გართობა, მზის სხივი და ამბობი?!“



მაცრამ უმხამოდ არსად გასვლავთ!

მაშ, რატომ არ უნდა ვეცადო შენც შეგობოჭო მწუხარების ქსელით? რაც მინდა მინდა  
სიას წილად გაყოფი?! მე ჩემთვის ვცდილობ. მსურს მოვიპორო მწარე შთაბეჭდილებისა  
ნისლი.

თქვენ კი გამირბინხართ?!

მაშ ხმავე, უარობო ხმავე, გასწი, დაეწიე ვისმე—სულ ერთია ვინც უნდა იყოს და  
მხიარული რბენა დაღონებულ ჩინხლად გადაუგეთე: ტბილი ოცნება შავ სინამდვილეთ;  
თამაში—ზირთა სოკათ, და სიმღერა—ზარათ.

თქვენ გაურბინხართ ტანჯვას. უბრალო ეგველდღიური მწუხარება, სევდის ხელი სიოც  
კი ჩაგაოთქრებთ და გაძებნიებთ ადგილთ ფიქრთ გასართველად.

მაცრამ ერთი ჩემიც გაიგონეთ!

ბუნებას სწორედ აქ აუბოძრავებია თვისი ყადაში, კალაში, ჩაქუჩი და შეუქმნია თავალ-  
წარმტაც საქართველოსთვის დამავიწროვებელი არე.

ზიტალო კლდეს ეკლერსება ზღვის ტალღები: ხან შხეუს მიაყრის, თათქალს  
სურს გააგრილოსო, ხან მთელი მთა ზვირთებსა ჩახეუტებს. შორით ტვით დაფარულ  
მთაში მოსხანს კოშკის ნანგრევი. მთვარის შუქი ბანაბს წყალში, ეცემა კოშკს, საღს  
კლდეს. მთელი ეს ადგილი ნაზის სევდით არის ნაზეუტები.

ცხოვრების ზირველ დღეს, როცა გულის ვუკური აუვაგებს იწიებს, აი აქ თავით ფე-  
ხამდე ნაცრის ფერმა დედაბერმა მიახმო ძველი თქმულება. იმ თქმულებამ დაფარულა გული  
და მერმე გაშხმარი ველი, რომ ვინმემ მომჭრას. საკვირველია—განა? გამოსულ ხეხილს  
ერთს რომ გადაკრავს ეინვის სუსნი ვეგლას ეწიებებს—ხილს ვეღარ ვიკეპებთო. ახლად  
ამოსულ ჯეჯილს თუ დროზე არ მოუსწრო ვუუუნს წვიმამ ან არ მორწყეს ოხვრას ვიწიებთ:  
დავიღუბეთ-დავიშევიტოთ. საუდლე ხარს მოზგრობისას დიდხანს არ მოაშორებენ დედის ძუძუს  
და ალერსს—დაზჩავდებო.

რამდენათ უფრო ნაზია ჩემი სასლამურო გული! რამდენათ უფრო ძლიერი იყო ღახ-  
ტი, რომელიც მირტუა თავის სიტყვებით დედაბერმა.

ვინ გაზომავდა ბავშვობის იმ მწუხარებას? სიმძიმეს გირვანქით ზომავენ, სიგრძეს—  
ადლით, დროს—წუთით, მაცრამ ამ ზატარ გულში გამოეებული ტანჯვა რითი გაიზომება?  
ჩემს მწუხარებას შემადგომის ცაც კი ვერ გამოიტირებდა, ჭიანური ვერ ამოკვნიესებდა.  
ცრემლი ვერ მინელებს ჭირს და სიცილი მხოლოდ სიამოვნების ჯალათად გადაქცეა. მხო-  
ლოდ მე, ისევე მე ამოვიტირებდი მწუხარებას, რომ ვინმე მომჭრიდეს და სალამურათ გა-  
მაკეთებდეს“.

„რას საიდუმლო მწუხარება გაწევს გულზე, რომ ვერ გამოგიტყვამს?“ —დაუკეთხე ნაის.  
„შენ ვინა ხარ? მაცრამ ჩემთვის სულ ერთია, —ვინც უნდა იყო! ერთი მომჭერი ძირში; გახუ-  
რებული შანთით ამომიწვი ისედაც გამოფუტურებული გული; ამოსტერ სიგრძით ზატარა  
ჭვრიტიმალები; ჩამბერე! —მშინ გეტყვი.“

„ვიცი რას მიჩვე, მაცრამ სალამურს დამკვრელი უნდა ხელოვანი“.

„სადაც ასეთი მწუხარება და სიხარულიც თანდაყოლილია, იქ ხელოვნება თავს ხრის  
სინამდვილის წინაშე; იქ ხელოვნება მორჩილ ემს-მოსამსხურეთ უდგება სინამდვილეს“.

„სიხარულიც?“ დაუკეთხე ნაის.

„დახს, დახს სიხარულიც! განა არის დრმა ტანჯვა, რომელსაც ხელოვანთ სიხარული,  
ხეტარება არ მოყვებოდეს?“

„მაშ მოგჭრი, მაცრამ სულ ძირში რას შენს ნათქვამს მოვუენ ქვეყნის ზურგს; ვის-

საქართველოს  
საბჭოთაო  
საზოგადოებრივი  
საბუნებისმეტყველო  
საზოგადოება

მე შეებრადები უფრო ცხატს კარგს სლამურს გამოსჭრის და შენს ჭირ-ვარსს უფრო მწუბრათ გამოკვათქმევენებს, მეტს გიშოვის თანამოტირალს“.

მოგჭერი მოკლე წვერი; გავახზე; გული ამოუწვი; ამოგჭერ ჭდაები; ჩემი ჩაბერვა არც კი დასჭირების ისე დაიწყო სლამურმა:

„ამ თვალ უწვდენელ ბუნების წიაღში მსოფლოდ ჩვენ ორი ვიდექით ზირის-ზირ. მთელი აღმავანი ტანთ-საცმელით, სიტყვით, სულის ცემითაც კი თითქმის ნაცრიდან იყო გამოზე-ლილი. ჭადარა თმა, ფერდაკარგული სახე, ჩაცვივნილი კბილები, დაფუტული კაბა—უგულა-ფერი ნაცრის ფერი იყო.“

უვარსკვლავო ღამეში დედაბერი შემომჩერებოდა და მისი ნაცრის ფერი არსება მიზი-დავდა და თან მაშინებდა. შეუწვევტელ დროს საუგუნოები დაეურა ამ ქალის მხრებზე. დუმილს ვერ ვითმენდი; და რომ რამე მეთქვა, დავეკითხე: უგულას ყავს ბები, დედა, ჩემი დედა კი სად არის?

უფურბე იმ ციხეს? დამეკითხა თვით დედაბერი—დედა შენიც იქ არის. მამა?

— მამაც იქ არის.

— და? ძმა?

— ისინიც იქ არიან,

— უგულას აქვს რამე დედ-მამისგან სახსოვრად დარჩენილი, მე კი...

— იქ არის... უგულაფერი იქ არის?

— ბები, ბები მამაზე, როგორ არის, რა არის?

— იმ ციხეს რომ უფურბე, იგი მიუვალა. ზირანდილი მტერი მის წიაღზე ვერ მოიკიდებს ფეხს. უსხოვარ დროიდან საიდუმლო ძლას აღუმართავს მკვიდრთა თავ-შესა-ფარად. დრო უგნებელ ტალღათ გადადიოდა შავ ბუმბერაზ კაშკაზე; მტრის ქარიშხალი ამოდ სცემდა კედლებს: მუხლ-მოდრეკილთა ღოცვა ამბავებდა; ხმალი იცავდა; შრომა აშე-ნებდა; ცრემლი ბანდა სისხლით შეფერილ ქვაფენილს; ოფლი კავშირათ უღვა ნაშენს; მშვე-ნიერება იზიდავდა მოუვარეს და საბედისწერათ მტერსაც.

ამ ციხის სული ერთს უგულავ ასულის ხელთა ებარა. იგი იყო უმთავრესი გამბე ქვე-ნისა. მას მორჩილებდნენ მეფე, ბერი, ერი და ჯარი. გაჭირვების დროს იმას ორგულავ შე-მოკერტემოდენ და მტრის ღახვარი, წერომა უფლისა ქიშხობა მათა ქედს მოიხრიადა ან დალბებოდა.

ერთხელ მეთილისზე ვინმე მოვიდა. ჩვეულებრივ ძმურათ მიუდიათ, მაგრამ ნამუსი ვერ შეინახა და თვით ერის სული, ერის მოვარულს, მშვენიერ ასულს შეახო ხელი. განრისხდა ქალი. ქალი დადუმდა. ვერ აიტანა ამხარტავანმა და წაუვიდა გული... ეს მითხრა ნაცრის ფერმა დედაჩემმა უვარსკვლავს ღამეში...


ნაი განუშდა.

და აქ სასიამოვნო, შენ რა სახე?

„როცა ზღვის ტორტმანს, ფოთოლთ შირადს, ჩემს ცრემლებს და შენს მწუხარებას სრულად ამოაკვებისებთ ჭიანურს; როცა შევინებთ მიძინებულის ქალისას სრულ-ყოფთ მარ-მალღოში, როცა აქედან გადაფრინდებით ციხეში, როცა აქ მუდამ მებრძოლ ძმებს ხელის-ხელ გადაბმულს დავინახავთ, ქალწული იგი გამოიღვიძებს და ოქროს ფავარზე ხელს გადაუსვამს მიძინებულ ღოცს“.

— მერმე აქ სასიხარულო რაღას?

— აი აქ ზღვის ძირში უგულა ემზადების. ვფიცავ დმერთს სიმღერისას და დექსთა



წეობისას, რომ თვით ადღანი ვერ იმღერებს, როგორც იქ იმღერებენ; ვფიცავ დმეტოს, რომ თუ ვინმემ დათვალა ხეიშა ისევ იქ დათვლიან, ვფიცავ დმეტოს, რომ თუ სადმე სხვამ დათვალა ისევ იქიდან; სწორედ ისინი ამოსწურვეს ზევით და ფრთებსაც ამოიტანენ... იქ ყველაფერია მე შიშით დავიწეე აქეთ იქით ვურება.

რისი გეშინია? ზღვას ვერ დასწრბენ. ეს არც რუა და არც ტბა, ზღვას ვერვინ დასწრბის და ზღვაში მზადდება ხსნა.

*Credo, quia absurdum est.*


აქ საეჭვო არაფერია; მე ჭკუშარიტებს გეუბნები.

მას რათ გუნესი ეგრე ნაი? ნუ თუ ჩვენი სიხარული შენ არ გახარებს?

მეც მინდა, მეც მინდა სანეტარო დღეს მოვესწრო: და რომ ვერ ვესწრები, იგი მაგონებს.



ხანჯლებით მოცეკვავე.



# ბ ი ნ დ ი.

გოგია უიშვილი.

ფინოპ, ასე ადრე რისთვის დაეშვი  
შემოღამების მწუხრო ბინდ-ბუნდო,  
ან შენ საითკენ მიემურები  
მშობლიურ ქვეყნის წეროთა გუნდო?..

ეჰ, არვინ ისმენს ჩემს კითხვა-წუხილს,  
შემოეხვია ნისლი ობოლ სულს,  
და უნუგეშო ჩუმის ქვითინით  
თვალთაგან ვაფრქვევ ცრემლთა ნაკადულს.

ამაოდ გავცქერ ცის დასავალსა,  
ჩემს ოცნების ლანდს ვეღარ ვიხილავ...  
დაუსრულებელ ძებნაში მკვდარი  
შენ დამიტირე, ცრემლების დილავ.

# სეგდის უკავილი.

კ. აბაშიძისპირელი.

გ. შიშველი, ვა. 98

## I

იმ საშინელსა და უშველებელ ფერხულს, რომელსაც ცხოვრებას ეძახდენ ყოველი ადამიანი სხვა და სხვა ნაირად უწოდებდა.

ქალაქში ყველა თავისთვის ცხოვრობდა... ყველა თავის ფიქრებში გართული დადიოდა... ვიწრო, ბნელ მოსახვევში მხსტვარს პატარა ოთახი ეჭირა. მშფოთვარე ქალაქში არავინ იცნობდა გარდა დამბლა დაცემულ, კოჭლ მედუქნისა და მოხუც მერძვეესი, რომელსაც დილ-დილობით რძე დაჰქონდა უკანასკნელს უკვირდა კიდევ რომ ფერმკრთალი გამხდარი ყმაწვილი მუდამ მოლობერთან იდგა და ხატავდა. ან და გადამლილ წიგნით ხელში ფანჯარასთან იდგა. კარის ყოველ დაკაკუნებაზე ჯაბუკი შეერთებოდა. „შემოდით“ გაისმოდა ხმა. ისიც უხმოდ შემოუტანდა რძეს და შეუმჩნევლათ კარს გაიხურავდა. ხშირად მერძვეე ისე შევიდოდა რომ მოლობერთან მდგომი ჯაბუკი ვერც კი ამჩნევდა ამ საღამოსაც მხატვარი ფანჯარასთან იდგა და მხიარულათ უსტვენდა. ბაღში, თავ ჩაღუნული ტოტებ ჩამოშვებული ხეები მდუმარედ იდგენ. ბედურები ჭყვილით დახტოდენ ერთი ტოტიდან მეორეზე. მათ გაფრთხილებაზე, გაყვითლებული ფოთლები ნელ-ნელა სცივოდა. წამს მისი სტვენა შესწყდა. რაღაც უცნაურმა სევდამ მოიცვა მისი სული. „საბრალო ფოთლები სცივიან უხმოჲ კვდებიან“ — ჩაილაპარაკა მან.

მახლობელ ოთახიდან ბავშვის ტირილი გაისმა... ცოტა ხანს ხმაურობა

მისწყდა. შემდეგ დრო გამოშვებით ბრავანი... და უწმაწური გინებ... ალბათ დამთვრალა მქედელი“ გაუელვა ყვაწვილს თავში.

ვილამაც კარს მუჯლოუგუნი ჰკრა... შუათანა ტანის კაცი ბარბაცით შემოვიდა... მალალი დანაოჭებული შუბლი შეეჭმუხვნა. სანთლის ქანდაკების მსგავსი ცივი გამომეტყველების სახიდან თვალის ქუთუთოებში ღრმად ჩასმული თვალები პირდაპირ შემოსტკეროდნ მას... ის დაბარბაცდა და კედელს მიეყრდნო... „არა მე მთვრალი არ გეგ... უღლიადაც არა... მე ცოლს ვსტყემ... გარედ გავაგდე... გიგლამ ტირილი მორთო. მთვრალი ვეგონე... ჰა, ჰა... ჰა... მთვრალი ვეგონე...“

წამო დავლიოთ თუ ვაჟკაცი ხარ, წამო! უთხრა მქედელმა... და ხელები გაუწოდა...

— დაჯექ მოსვენე... ვილაპარაკოთ და მერე! ხელი წაავლო და სკამზე მიუთითა.

— არა, უნდა წავიდე... არ შეიძლება...

— უკაცრავათ... მაპატიეთ...

ცოტა ხანს შემდეგ ყმაწვილი მარტო დარჩა... ოთახიდან თვალს ადევნებდა მქედელს რომელიც ვიწრო მოსახვევისკენ ბარბაცით მიემართებოდა. ქუჩაზე ფანრები ბეჭუტავდა. გამვლელ-გამომვლელის ჩოჩქოლი მისწყდა...

ერთ წამს მაინც დაივიწყებს ცხოვრების დრტვინვას... თავ დავიწყებას მიეცემა წაჩურჩულა თავისთვის როცა მქედლის სილუეტი წყვილიაღმა დაფარა...

## II

დილით ადრე გამოეღვიძა. გული რაღაც კაეშანს გრძნობს როცა ფანჯრიდან დაღვრემილი ნოემბრის ტყვიის ფერი ცა გამოჩნდება და უფერული სინათლე ოღნავ გაანათლებს ოთახს. გამოურკვეველი ნაღველი შემოაწვა სულს. „ოხ! არ გათენებულიყო“ გაუელვა თავში. ქუჩებიდან ხმაურობა ისმოდა. ადამიანები ფუსფუსით ხმა მალლა ლაპარაკით მიმოდიოდნენ ყველა თავის პატარა საქმეებზე...

მხატვარი კი, უძრავათ პირაღმა იწვა და გაჰყურებდა თუ როგორ უფერულათ, ნაღველიანათ თითქოს უმიზნოთ მიიხლანხნებოდნენ დაბალ ცაზე ღრუბლების არშიები.

უდა ამდგარიყო. სიცოცხლე, დღე მის—დაუკითხავათ დაიწყო. მასაც ხომ უნდა მიეღო მონაწილეობა... საერთო ფერხულში უნდა ჩაბმულიყო. ვინაიდან „ხვალე“ სრულიად მის დაუკითხავად იწყებოდა და თავდებოდა. ყოველი დღე ისე გავდა ერთმანეთს როგორც ზღვის ნაპირზე ქვიშის ნაფხვენები ერთი მეორეს. რისთვის? საით? ეკითხებოდა ყმაწვილი თვით არ იცოდა ვის.

უფერულ დღეთა გრეხილები სამხრეთისკენ მიმავალ წეროებსავით მიდიოდნენ...

უმიზნოდ დახეტიალობდა ქუჩებში; გამგვლელ გამომვლელ ადამიანების დაღვრემილ სახეებზე თითქოს კითხულობდა კიდევ იმ ფიქრებს, რომელიც ყოველ მათგანს ალბათ გულს უღღრნიდა... მათ სახეზე კარგათ ამჩნევდა, რომ დარდს თავისი ბასრი სახნისი გაეველო და სიმწრის ოფლისთვის საჭირო ღარები დაეტოვებია.

ხშირად მთვრალი ბრუნდებოდა შინ. სანთელს არც კი ანთებდა სარკმლის მკრთალ სინათლეზე წვებოდა. მოხუც მერძევეს უკვირდა რომ ახალგაზდა მხატვარს ჩვეულებრივათ მოღბერტთან ველარ ხედავდა. ოთახიც უმეტეს ნაწილათ ცარიელი იყო.



## III

არის მხატვრის ცხოვრებაში ერთი წამი როცა უაღრეს ტანჯვას სულს სიღრმეში რაღაც გამოურკვეველი სახეები, ნაკვებები ჩასახულა და იქ სდულს. თითქოს გარედ ცივ ტილოზე გადმონთხევას ითხოვს... ან და სევდის სიმღერად ქცევას. სახეები სულს სიღრმიდან გარედ ილტვის, მაგრამ რაღაც იღუმალი ძალა ხელს უშლის. ეს წამი შემომქმედის სულს არჩევის წამია. მისი სული ამ დროს ისეთ აუცილებელ ტკივილებს განიცდის, როგორსაც დედა მშობიარობის ჟამს. ან და როგორც გაზაფხულის ნორჩი კვირტები და კოკრები გაფურჩქნისას. როს დიადი მზე ცის ციაგზე დასცურავს. სხივების შარავანდელი ბუნებას ახალ ცხოვრების, აღდგომის ჰანგს უმღერის. კვირტებსაც ესმით ეს იღუმალი ხმა. გაშლას აპირობენ. ცვარს ელიან... ალბათ მწარე ტანჯვას განიცდიან ლოდინში. ტანჯვა ხომ პირველი და აუცილებელი საფეხურია ზე აღტაცების კოშკზე ასასვლელათ. ცრემლები შემომქმედისთვის ხომ იგივეა რაც ცის ნამი კოკრების გასაშლელათ. ეს აუცილებელი მანანაა ქმნილების ყვავილის გასაფურჩქნელათ.

სწორედ ასე უნდა მომხდარიყო მხატვრის სულშიაც - დიდი ხნის ტანჯვის შემდეგ...

## IV

სალამო ჟამს ის ჩქარი ნაბიჯით ფართო გზა ტკეცილზე მიდიოდა... ქალაქს გამოვრდა და სრულიად მისწყდა მშფოთვარე ქალაქის დრტვინვა. შორს დარაჯათ გაწოლილ მაღალმა მთებმა სევდიანად თავი ჩალუნეს და შავი მანტია წამოისხეს.

მან ნაბიჯს უკლო. ცივს რევოლვერს მალი-მალ ხელს უჭერდა. ტანზე ეკლები ეყრებოდა.

„აქით საუკეთესო ადგილებია ამისთვის გაუეღვა თავში და ქალაქისკენ გაიხედა. ცის თაღზე აქა იქ ობოლი ვარსკვლავები ბეუტავდენ—შორი შორს... თრთოდენ თითქოს ყოველ მათგანს მეორესთან შეერთება სწაღდა. შეერთების წყურვილით იბნიდებოდა. გრძნებით თვალს ლულავდა. ქალაქის სახლების სილუეტებიც აღარ მოსჩანდა. წყვდიადს თავისი კალუბი გადაეფერებია მისთვის. მხოლოდ ათასი პაწია ცეცხლის თვალეები მოსჩანდა გვეგონებოდათ ცის თალიდან ვარსკვლავები ჩამოცვენნიდან რომ ქალაქში გამეფებული წყვდიადი გაენათებიათ. „ხვალ აღარ ვიქნები“ გაიფიქრა მან... წამს თავისივე თავი შეებრალო. მახლობელ გორაკისკენ გაემართა ნელი ნაბიჯით. ბუნებას დუმილის მკერდზე ტკბილათ ეძინა.

ირგვლივ გამეფებული დუმილი, რომელიც წყვდიადის მანტიაში გამოხვეული უხმო ბუნებას გუშავათ დასდგომოდა, უცებ ზარის ხმამ დაარღვია. ნა...უ...უ...უ ნა...უ...უ...უ გაისმოდა ყრუთ... ხან თავისუფალ მთროლოვარე ტალღათ გარემოს ეფინებოდა... ხანაც შორს შორს სივრცეში, იქ სადაც ცის თალი შავ უშველვებელ ხაზათ მიწას უერთდებოდა, იქით ცის კიდურეში ინთქებოდა...

ნა...აუ...უ... მოისმა ხელ მეორედ. . იგი თითქოს ხმა იყო შორს მძინარნ ქალაქში მყოფ ცხოვრებისა, რომელიც გაქცეულ ტყვეს თავისკენ უხმობდა. ხმა იგი სულში შეიქრა ანთო ტკბილი მოგონების სხივი ასე გრილი სიო შეარხვეს ხოლმე სიცხისგან დამწვარ მთის ყვავილს.

შორეული სოფელი. მათი ყვარით დახურული სახლი პატარა; ცქრიალა დის.

კულულ ჩამოშლილი მხიარული სახე. წელში ოდნავ მოხრილი ბეჭა... დედის ტკბილი ალერსი, აღდგომის მოლოდინი. პაწია ბავშვები მშობლიურ სიყვარულში მხიარულათ ფუსფუსებდენ. მოუთმენლათ მოელოდნენ თუ როდის ჩამოკრავდა მოხუცი მათე ზარს და მხიარული ჟღარუნით აუწყებენ ბრწინვალე აღდგომას, მძინარე სოფელს...

— ახლა აღდგომა ჩვენებიანთ ნატოს კართან იქნება... ახლა ჩვენი სოფლის კალოებთან, ამბობენ ბავშვები და სიხარულით გული უტოკავთ... აღტაცება მოუთმენლათ ათრთოლებდა ბავშვების სპეტაკ სულის სიმებს ყველა ამ ტკბილ მოგონებისაგან—მისი თვალი ისევ შურიანათ მიეპყრო დასამსხვრევლათ მომზადებულ სიცოცხლის ფიალისკენ ცივი ბრჭყვიალა საგანი ჯიბეში ჩაიდო მადლობ ადგილიდან სადაც განზრახვის სისრულეში მოყვანას აპირებდა, დაბლა გზა ტკეცილზე დაეშვა და ჩქარი ნაბიჯით მძინარე ქალაქისკენ გამოსწია. ზარის ხმა დრო გამოშვებით გაისმოდა. უკან ბრუნდებოდა თან გრძნობდა სახეზე გაზაფხულის ღამის ნაზ ზეფირის ალერსს.

#### ⅴ

უთენია გამოიღვიძა. ფანჯრები დაალო თუ არა, დილის ნიავეა ბალიდან აკაციისა და ყვავილების დამათრობელი სურნელება მოჰფინა ოთახს. შორს მთის იქიდან მზემ ამოაშუქა. ოქროს სხივების შარავანდედი წამოისროლა. მაღალ, ცათ აზიდულ ზურმუხტოვან ჩაღრ წამოსხმულ მთებს ნისლი ოდნავ ბურავდა. მთა, მზის დანახვაზე, თითქოს პირ ბადეს იხსნიდა. ჯანყი იფანტებოდა.

საჩქაროთ ძებნა დაუწყო სამხატვრო მასალას, რომელიც დიდი ხნით მივიწყებული ჰქონდა.

მთის ფერღობზე ზურმუხტოვანი მდელი ფიანდაზათ გადაშლილიყო. ყოველ ყვავილს, ყოველ ფოთოლს ზედ ეტყობოდა რომ შემომქმედს განუსაზღვრელი ცლით დაემთავრებია ყოველი ნაკვთი.

მთის გულ-მკერდიდან სიხარულის ცრემლათ გადმონთხეული ნაკადი ვერცხლის ზოლათ აჩნდა... ლივლივა, ვერცხლის ზვირთების სიცოცხლის შადრევანი ისე ცოცხლათ იყო გადატანილი ტილოზე,—გეგონებოდათ საცაა გადმოიფრქვევა ტილოდან და გრძნეულ დუდუნს მორთავსო. ერთ მაღალ ბუჩქთან მშვენიერი ასული იდგა შორს, შორს გაჰყურებდა. ლალის ფერ ბაგეთ ღიმილი ოდნავ აპობდა... ეტყობოდა ბუნების მშვენიერებით სტკებოდა. ყვავილთა თაიგულების გვირგვინი თავზე ედგა. სპილოს ძვლის ქანდაკების მსგავს მხრებზე გიშრის დალაღნი ჩამოშლოდა. ტანი ისე სპეტაკი იყო, როგორც პირველი თოვლი რომლითაც ზამთრობით მაღალნი მთები იმოსებიან. და უმანკო ვით პირველი კოცნა სიყვარულისა.

თვით ოცნებას თავის საფეიქროში მოექსოვა მისთვის თეთრ აბრეშუმის მსგავსი ღრუბელი, რომელიც გრძნეულ ბადეთ გარს ოდნავ შემოხვეოდა შიშველ ტანს.

ამომავალ მზის სხივებსაც თვალი მოეკრა ციურ მშვენიერებისათვის. სპეტაკი ღრუბელიც ოდნავ აწითლებულიყო... უკანასკნელი ნაკვთი აკლდა, ისიც და სურათიც დაამთავრა „სიცოცხლე, მწყურია, სიცოცხლე“ წამოიძახა მხატვარმა.

გაზაფხულის სიმღერა უნდა აღმომხდარიყო გულიდან, მაგრამ იგი ჰიმიი უკვე დაასრულა მან. ფერებათ ქმნილი, ციურ ჰარმონიით აქცია,—ცივ ტილოზე გადაიტანა და შექმნა სურათი, რომელსაც დაარქვა „სევდის ყვავილი“.



საოპერაციო ოთახში.

# ობოლი მოვკვდე...

## ი. მჭედლიშვილი.

ნუ დამიტროს სატრომ გულისა,  
 ნულარ დამეცეს ცრემლი მწუხარის.  
 ნ. ბარათაშვილი.

ტრიალ-ტრიალით მივქონდი გრიგალს  
 პირქუშ ღრუბლებში გამოხვეული,  
 ვთრთოდი შიშისგან და სიცივითა  
 იკუმშებოდა მკერდის ქვეშ გული.  
 თრთოლვით – კანკალით გადმოვყურებდი  
 დაბლა დაფენილ არე მარესა:  
 ვრცელი სამყარო ადამიანთა  
 მოეცო ღუმელს მგლოვიარესა.  
 სქელი ნისლები ჰფარავდნენ მიწას,  
 ვერა ვხედავდი კაცთ სამყოფელსა,  
 მარტო მე ვიყავ ღრუბლების მაღლა,  
 დაშორებული წუთისოფელსა.  
 როგორც სიკვდილის შავი ლანდები,  
 ღუმლით ვლენდნენ ცაში ღრუბელნი,  
 სიკვდილით შთანთქმას მემუქრებოდნენ,  
 შავნი, პირქუშნი, ავის მსურველნი.  
 ადამიანთა მოსისხლე მტერსა  
 მაშინ მომნატრდა ხმა ადამისა,  
 თავი წამართო უძლოურმა გულმა,  
 მონა გამხადა ერთი წამისა.  
 მაგრამ ერთი მთის მაღალ მწვერვალზე  
 შეჩერდა მძიმედ ჩემი ღრუბელი,  
 ირგვლივ ყოველი ისევა სდუმდა,  
 როგორც სამარე, სამარე ძველი.  
 ჩემ წინ, გადაღმა სივრცე მოსჩანდა  
 სპეტაკი თოვლით გადაღესილი;  
 თვალში ღუმლით იყინებოდა  
 ობოლი გულის ამოკვნესილი.  
 არსაიდან ხმა, სიციოცხლის სხივი  
 და ნიშან-წყალი არსად მოსჩანდა,  
 თითქო აღარც ცას და აღარც მიწას  
 მცხოვრები სული აღარა ჰყვანდა.  
 მხოლოდ შორს, ცისა მდუმარ ტატნობზე,  
 სადაც ცა მიწას უერთდებოდა,  
 სოფლის ჩონჩხები მოსჩანდნენ ოდნავ  
 და ცეცხლის კვალი აღივზნებოდა.  
 იქ ხალხი სცხოვრობს და მომაგონდა;

მეც იქ ოდესმე ვიმყოფებოდი,  
 იქ გვატარე ყრმობისა ჟამი,  
 როს უდარდელი ღხენით ვსტკებოდი.  
 მახსოვს დედაცა,—რა კარგი იყო!  
 ძმებიცა მყვანდნენ, ერთგული ძმები!  
 გარსა მეხვია ბედნიერება,  
 შემომხაროდნენ ნათესავები!

იქ სატრფოც მყვანდა და წრფელის კოცნით  
 მისაზრდოვებდა გულის ნორჩ გრძნობას...  
 მაგრამ სადღაა? აღგვილა ყველა!  
 ტუსაღად ვყევარ მუნჯ მარტოობას.  
 მაგრამ ღრუბელო, წამიღე შორს, შორს,  
 სადაც კაცთა ხმა ვერ მომწვდებოდეს  
 და, გულში ტანჯვათ გამცოცხლებელი,  
 ქვეყანაც აღარ გამოჩნდებოდეს.

მსურს მარტოდ-მარტო, ობოლი მოკვდევ,  
 ნუ ჩავალ კაცთა გათხრილ სამარეს.  
 დევ მშობელი ნუ დამიტირებს,  
 ნურვინ დამაფრქვევს ცრემლსა მწუხარეს.  
 წამიღე შორად, ცივო ღრუბელო,  
 სადაც კაცთა ხმა ვერ მომწვდებოდეს  
 და, გულში ტანჯვათ გამცოცხლებელი,  
 ქვეყანაც აღარ გამოჩნდებოდეს.



„ცა ქუდათ არ მიმაჩნია, დედამიწა ქალამნათ...“



# ქართული თეატრი

არ. ავ—ინ.

„მსხვერპლი“ პ. ვ. მ. ი. გედეანიშვილისა.

დრამატული საზოგადოების დასმა 19 დეკემბერს და 2 იანვარს საინტერესო წარმოდგენა გამართა. საინტერესო და აღსანიშნავი იმითი უფრო იყო, რომ ამ ბოლო ხანებში თითქმის გამგეობის რეპერტუარს ნაკლების ეურადღებით ეპყრობა, ვიდრე სეზონის პირველს ხსენებში. ამ დღეს ითამაშეს ი. გედეანიშვილის ახალი სამ მოქმედებისანი ზიეს „მსხვერპლი“. ამ ზიესის დადგმა აღსანიშნავი მიტმას, რომ ჯერ ერთი თვით ახალი ზიეს ჩვენი სოფლის ცხოვრების ხელფურათ გადაღებული სურათია, მეორეს მხრივ ზიესის ასრულებას, მისი ხელფურათ გადმოცემს უნაკლო იყო. დიდი ხანი არ არის, რაც ეს ზიეს „სახალსო გაზეთის“ სურათების დამატებაში იბეჭდებოდა. ჩვენი მკითხველი საზოგადოება მის შინაარსს უკვე უნდა იცნობდეს, ამიტომ მისი შინაარსის გადმოცემას მეტი იქნება.

არავისთვის საიდუმლოს არ უნდა შეადგენდეს ის ვარაუდობა, რომ ეგრეთ წოდებულმა განმანათლებლებმა მოძრაობამ ჩვენი დაბეჭდვითი სოფელი უფრო დააბეჭავა. სოფელს საზოგადოებრივად ბევრი მოეკლინა, ბევრი ახალ-ახალი აზრები უქადაგეს, და ამას კი სოფლის არევა, გაუგებრობა, მტრობა, შური, დარბევა-განხანგება მოჰყვა. იმით რომ კი არა, რომ ამ მოძრაობას უეჭველად შედეგათ ეს უნდა მოჰყოლიოდა; არა! მიზეზი ის იყო, რომ ამ მქადაგებელთაგან ბევრი არ იყო თავის ადგილას, და სოფელს სძირათ იმას უქადაგებდნენ, რის ვაკება შეთვისება სოფელს არ შეეძლო და რის ასრულებასაც აუცილებლათ უარყოფითი შედეგები უნდა გამოეწვია. ბევრი ამ მქადაგებელთაგანი გულით ეტრთოდა საქმეს, სწამდა კიდევ თავის მისწრაფების სიმართლეს, ბევრი კი გულწრფელობის და საქმის ნაცვლათ პირადი ანუ სხვა რამ მისწრაფებით იყო დროს გამო წამოყენებული. სოფელს ამ მოძრაობამდისაც ჰყავდა თავისი სუკეთესი მებრძოლი შვილები, რომელთაც მთელი თავისი არსებით მსურდათ სოფლის წყლულის შემსუბუქება, ათასი მტერ-მოყვრის, იმ მტერ-მოყვრის რომელნიც არაფერს არ იშურებდნენ, რომ გლეხის თვითთნად ჯობე გაესქალებინათ. ბევრი ამ მებრძოლთაგანი ამ გზას არც უხევედა, ზოგი კი, და კაი რიცხვიც; ამ მშველელ დამსხვლელის ნიდაბს ეფარებოდა და სოფელს შველის მაგიერ დაღუპისაკენ ეხილდებოდა, თუმცა კი შეიძლება ითქვას, რომ ამისთანა პირებს პირველათ იქნება გულწრფელი სურვილიცა მქადაგებელთაგან თავი შეეწირათ.

როგორც ვსთქვით, ზიეს „მსხვერპლი“ ჩვენი სოფლის დღევანდელი ცხოვრების ფორტოგრაფიული სურათია. სადაც კი არ მიხედვით, უველგან ასეთს სურათს დაინახავთ: ასეა კახეთში, ქართლში, ასეა დიდსა და პატარა სოფელში.

პირველათ სოფლის კეთილ-დღეობისათვის მებრძოლი გლეხი გიგო—შემდეგ ექმრო-პრიატორათ იქცევა და სოფელს თავსებდ ჩაფრის მოკვლითა და განცარტვით დიდს უბედურებას დაატყვის. ამ ვაჭირებიდან, სოფლის დარბევა და განადგურებიდან ეისხნის ვანო, უმწვილი გლეხი, რომელსაც სოფელი ნამდვილათ უყვარს, მისი კეთილდღეობა სურს და გიგოს დანაშაულს თავთ იღებს კისრათ, რისთვისაც მას სახრჩობელა მოკლის. აი ეს არის მთელი ზიესის შინაარსი და დადა-აზრი.

ზესას დრამატული ხასკვი ნაკლებათა აქვს. ის არ არის დიდი რამ დრამატული, სულიერი ბრძოლის გამოხატვა, ის სურათია, ცხოვრებიდან ამოგლეჯილი და ძალიან ხელფურათ გადმოცემული. არც ერთი სცენა, არც ერთი დიალოგი არ არის იმისთანა, რომ

კაცმა სთქვას, ეს შეტია; შეტადრე უნაკლოთ უნდა ჩაითვალოს ზირველი მქმედება, სოფლის მეიდანნი, დ უქნით, სოფლის ყრილობა და სხვ. მეორე მქმედებაში, თავადის კარმიდამო, ქეითთ—სიკვე კარკათა დახტული, მხლოთ ჩვენის აზრით ცოტა გრძელია. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ კონტრასტები ამ თავადურს ქეითს, მის განცხრომას და სოფლის ტანჯვის შორის ზოგან ძაღდატანებულა. მაგალითად ვახოს დედის მისვლა ქეითის დროს, მისი ტირილი რომ გამოტოვებულ იყო, მქმედება სრულებით არას დაჰკარგავდა, კონტრასტის აღსანიშნევით კი კნიაჟნა და გლეხის ქადის, გიგოს ცოლის, დაზირდაზირებაც კმარდა. თუმცა ვახოს დედის წუხილი და იქ მეოთხთ ამ წუხილის აინუნში არ ჩაგდება, და შემდეგ კნიაჟნას ისტერიკა და ყველას დაფორაქება—დიდებულათა ჰსტავს ჩვენი ორი მობირდაზირე ჯგუფის განწოფილებას.

ასევე შეტათ მიგვაჩნია მესამე მქმედებაში გიგოს აღსარება. ეს მისი უკანსკნელი სიტყვები მორალურ ხასიათს ატარებენ და ზნეობრივ გაგვეთილს აძლევენ თითქოს მსუგრებლებს. ეს სიტყვები რომ გამოიტოვოს და ზნეობრივი გაგვეთილის დასკვნა თვით მსურებელს მიენდოს უკეთესი იქნებოდა.

მაგრამ ეს ორიდღე მცირე ნაკლი ჩვენის აზრით თითქმის არც კი სჩანს იმ სავსებით გადმოცემულ სურათებიდგან, რომლითაც სავსეა ზიეს „მსხვერპლი“. ვისაც ამ ბოლო ხანებში სოფელში უცხოვრია, ყველა იცნობდა ჩვენს სოფელს, მის ჭირსა და ვარამს „მსხვერპლის“ ნახვით.

ასრულებაზედ მხლოდ ის ითქმის, რომ უკეთესი ასრულება არც კი შეიძლება. ყველა თავის ადგილზედ მშეენიერი იყო დიდიდგან ზატარადის და ხელფანურათ ასრულებდა თავის როლს. ბ. შალაკაშვილმა ერთხელ კიდევ დაგვანახა ამ ზიესის დადგმით, რომ მისი შრომის მოყვარეობა, ცოდნა და უნარი ჩვენ სტენს წინ წასწევს.

საზოგადოებაში ისმოდა ამ წარმოდგენის დროს, რომ მ. გედევანიშვილს კიდევ აქვს დაწერილი რამდენიმე ზიეს. სასურველია ზატივეცემულმა ავტორმა განაგრძოს მუშაობა და ამით ჩვენს ღარბ რეპეტუარს შესძინოს ისეთი ზიესები, როგორც ეს მისი ზირველი ზიეს „მსხვერპლია“.



## ბრეტონური სახალხო პოეზია.

ჟანა ალმური.

თარგმანი ალ. საჩავიშვილი.

### I

— ვინ მოცოცავს მთაზე? მგონია შავი ცხერის ფარა.  
 — შავი ცხერის ფარა როდია; ლაშქარია, ოლონდაც,  
 ფრანგების ლაშქარია. მოდის ჰენებონს ალყად შემოერთყას.

### II

სანამ დუკესა ამალით ქალაქს მოივლიდა, იყო ზარის რეკა;  
 სანამ თეთრს ტაიქს მოატარებდა და შვილი კალთაში უჯდა;  
 ჰენებონის ხალხი ყველგან სინარულით ეგებებოდა და იძახდა:  
 „ღმერთი შეეწიოს დედას და შვილსა და მოსრას ფრანგები!“

როცა დუკესამ ქალაქი მოიარა, მოისმა ფრანგების ძახილი:

„ახლა კი შევიპყრობთ ცოცხლებსა შველსა და ნუკრსა თავიანთ ბინაზე!

ოქროს ჯაჭვი გვაქვს, ერთანერთს შევჭედავთ“.

ჟანა ალმურმა ფრანგებს ჩასძახა კოშკიდან:

— შეპყრობილი შველი კი არა, ავი მგელი იქნება.

თუ ამალამ შესცივდა, გავუხურებთ ბუნაგსა.—

თქვა და ჩამოვიდა გაგულისებული.

ჩაიცვა აბჯარი, დაიხურა შავი მუზარადი,

შემოირტყა ბასრი ხმალი, აირჩია ასი მეომარი,

აიღო მუგუზხალი და ქალაქიდან გავიდა.

### III

ამ დროს ფრანგები შემოსხდომოდნენ სუფრასა და მხიარულად მღეროდნენ:

თავიანთ დახშულ კარვებში შეყრილნი ფრანგები მღეროდნენ იმ ლამეს,

როცა შორიდან მოისმა უცნაური ხმა:

„არა ერთი, ვინც ამალამ იცინის, ვიდრე გათენდებოდეს იტირებს;

„არა ერთი, ვინც ახლა თეთრს პურსა სჭამს, შავსა და ცივს მიწას შესჭამს;

„არა ერთი, ვინცა ღვრის წითელს ღვინოსა, მალე მუქს სისხლს დაღვრის;

„არა ერთი ნაცრად იქცევა, ვინც ეხლა ტრაბახობს!“

არა ერთი ეგდო ვალეჟილი,

როცა გაისმა ვაების ხმა:

„არიქა, ძმანებო, ცეცხლი! ცეცხლი!

„ცეცხლი! ცეცხლი! გავიქცეთ, ძმანებო!

„ჟანა ალმურმა ცეცხლი წაგვიკიდაო!“

ჟანა-ალმური ქვეყანაზედ ყველაზე გულოვანია, ოღონდაც!

ჟანა-ალმურმა ბანაკს ცეცხლი წაუკიდა ოთხსავე მხარეს;

და ქარმა მოსდო ცეცხლი და გაანათა ბნელი ღამე;

გადიწვა კარვები, შეიწვნენ ფრანგები,

სამი ათასი დანაცრდა, ძლივს ასი გადარჩა.

### IV

მეორე დღეს ჟანა-ალმური იცინოდა თავის სარკმელიდან,

ველს რომ თვალი გადაავლო და ნახა მტრის ბანაკი აოხრებული,

და დანაცრებულს კარვებზე აღენილი კომლი;

ჟანა-ალმური იცინოდა: „ღმერთო ჩემო, რა საუცხო ნატუსია!

„ღმერთო ჩემო, რა საუცხო ნატუსია! ერთი მარცვალი ათს გამოიღებს!

„მართლა უთქვამთ წინაპრებსა: არა არის რა ისეთი, როგორც ვალეების

ძვლები,

„როგორც ვალეების ძვლები, დანაყილი, პურის მოსავლისათვის!“




# შევედი ბაღში.

ი. მჭედლიშვილი.

შევედი ბაღში სევდიანი, დაღონებული,  
 მღუმარედ ვკენესდი მწუხარების ცეცხლ მოდებულო.  
 ძლიერი იყო მაშინ სევდა აღმოუთქმელი,  
 გულსა მიღრღნიდა, როგორც გველი, სამარის მცველი.  
 ხან გამოშვებით მალეღვებდა ოხვრით შფოთება  
 და მას გულიდან ამოსდევდა წყრომა, გოდება...  
 არ ვიცი მაშინ რას ვფიქრობდი, რას ვწუხნი ღრმად,  
 მხოლოდ ყვავილნი ფუჩუნებდნენ: „მან გიღალატა“.

ი. მჭედლიშვილი



წმ. ნინო.

# სათავესთან

გიორგი ფოცხოველი.

მთაშია სანახავი, სათავესთან რომ სდგებარ მარტო მხილავი!.. ანკარა, ბროლის მსგავსი წყარონი ჩუხჩუხით გადმოხტიან, ზოგან რაკრაკით, ზოგან დუღილით, ან წვეთ წვეთად ჟონავენ, რუებს ადგენენ და ცელქად მოსჩქეფავენ, როს უფსკრულიდან აღმოხეთქილნი სინათლეს იხილავენ. მზის სხივებზე ცვარნი აღმასებრ ბრწყინავენ, როს ქვებს, მცენარეებს ელამუნებიან და რუები კლაკნით, ვერცხლის წყალივით, ერთმანეთს ხტომაში ეცილებიან და თავდაუჭერლად კეკლუც მდებლოსკენ ექანებიან! რა მშვენებით ერთმანეთს ეხუტებიან, რა გიჟურად ურთიერთში იჭრებიან!...

ზურმუხტოვანი მწვერვალი, მწვანით შემოსილი გარემო, სალი კლდეები ხავს მოკიდებულნი, მთის ყვავილებით შემკობილნი, პეპელების რთქიალი, შავარდენების წივწივი ხიბლავს თვალსა და თუ რომელიმე რუს თვალი გადაავლეთ, ყოველ ნაბიჯზე მშვენება მისი იზრდება და რაკი ხევისკენ აწვდით თვალსა სჭვრეტავთ სანახავს თვალწარმტაცსა.

მწვერვალოდან მოდინარე რუები ერთად დიდ ტოტად შავრთებულნი კლდის ნაპრალიდან ხევში მხუილით ვარდებიან და ფსკერზე ნახეთქნი შადრევანივით დიდ თოვლის მსგავს სვეტად აღმოხდება და ჰაერში ნამქერობს... მერე კი ტყის ჩრდილის ქვეშ ყომრალი, ხევში ხტომით, ხმაურობით მდებლოსკენ ექანება და ცივ ჰავას მწვანე სიცოცხლეს საამურად ჰგვრის!..

სათავის ნელი ტიტინი, ღრიანცელი მდინარისა, ტყის შრიალი, ნელი სისინი ქარისა ეჭურჩულება ადამიანის გონებას, მთელ მის არსებას საიდუმლოება იცავს და ჟრიამული საამური იცავს მას!.. გრძნობ ბუნების იმ დიადობას, რომელიც საიდუმლოებით არის მოცული და ვნებით ივსები!.. სცოცხლობ მაშინა არა ამ ქვეყნად, სულ სხვა ფარგალში: ანკარა, წმიდა, თავისუფალ, უდარდელ, ეთერიან სამთავროში!...

ივიწყებ ხორციელ ქვეყანას და გრძნობ სინაზეს, სიტკბობას, სულიერი სამოთხე გენახება!..

ახ ნეტავ გაიცვლებოდეს განხორციელებული ქვეყანა იმ უხილავ, ოცნების სამოთხეზე!..

## რედაქციის შინაური საქმეები.


ყოველ ოთხს თვეში ე. ი. წელიწადში სამჯერ ჩვენს ჟურნალში დაიბეჭდება სრული დაწვრილებითი ანგარიში რედაქციის შემოსავალ-გასავლისა. დრო გამოშვებით კი მოვიყვანთ ზოგიერთ ცნობებს. 9 იანვრამდე 1911 წ. (ხუთი ნომერი). რედაქციას ჰქონდა დაახლოვებით ხარჯი 365 მან.

თფილისის დრამატიული საზოგადოების გამგეობამ ჩვენს რედაქციას აღუთქვა წლიურად 300 მანეთი იმ პირობით, რომ ჟურნალში 12—15 პიესა იქმნეს დაბეჭდილი.

რედაქციის საშუალების გასაძლიერებლათ მივიღეთ თავ. ი. მ. ლ—საგან 50 მანეთი.

რედაქტორი-გამომცემელი

თავ. ნ. მ. ლორთქიფანიძე.



**ფიცხელა.** ჩვენ სხვას არც არაფეს მოველოდით. როდის ყოფილა, რომ თავისით სინათლე ჩამოეშვათ! წავიდეთ, ამხანაგებო, ისევ ჩვენ და ჩვენი მარჯვენა! (ხრიალით გადახან).

**მთავარი.** (ჩამოვა ტახტიდან. შესვლას ნახი-ბრფას. ტირილი წასკდება და მოქხევევა). ნახი-ბროლა, ჩემო პატარა! შენ არ გათქმევიანეთ... მაგრამ საჭირო არ არის! (მთათბირებს) ვაცხადებ საყოველთაოთ, რომ ჩემის ნებართვით ჩემი და ნახიბროლა მიყვება ცოლათ დიად მგოსანს ზენისსა. (ნახი-ბრფა გახარებული ეხვევა. სურათა აღუკვეთელი დგას, თვალებს აკლვარებს. ეკვლახი არეულები არიან. სურათი.)

ფარდა.

### ნაწილი მესამე.

სანახავი პირველი მოქმედებისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მოედანი სრულიად განათებულია, რადგან თალი უკვე გაურღვევიათ. მანათობელი ლითონები ყველგან ჩამომსხვრეულია. ტბის ოღრიკალი და ჩამოსაჯდომებიც მიმტვრეულ-მომტვრეული. საზოგადოთ ეტყობა, რომ ამ ალაგას დიდი შეტაკება მომხდარა. ისმის შორიდან ყრუ ხმა წერაქვების რტყმებისა და აღამიანთა ხმაურობა—გუგუნის. მოედანი ცალიერია. შემდეგ ხალხი გამოვრბის მაღაროებიდან.

**1-ლი.** აქეთ, აქეთ! ხედავთ იქაც ჩამონგრავა! (გარბის იმ მხრით, სიათაც ხმაურობა მოასმის. ხმაურობა ისეთია, თითქოს ქვებით დატვირთული ურემები დასცაქესო. ის მადარც ნათლდება).

**2-რე.** დაინგრა, დაინგრა სულის შემხუთველი თალი. (გარბის. კადეკ ისმის რამდენიმე ხმაურობა. თანდათან შემოსასწაველი მადარებებიც უფკელი მხრით ნათლდება. ხალხი გამობრბის.)


**ხახიერი.** თავისუფალნო, სმენა! აბა სად გარბინართ? (ხალხი შეჩურდება და შეკვრუფდება.) ხომ იცით რაც მოხდა და რაც ხდება. წადილი შეგვისრულდა, მიხანს მივალწიეთ. ეს დიდებული გრგვინვა ქვებისა ჩვენი თავისუფლების საუკეთესო შემოძახილია, ამ საშინელ ხმაურობაში იქედება ბედი მომავალის თავისუფალის ხალხისა. დიად, დავანგრიეთ ჩვენი სულის შემხუთველი თალი, ინგრევა მისი მყარი ბურჯები და მზე ცხოველ-მყოფელი, მზე

ნათელი პირდაპირ და ლალათ იფინება არე-მარეს. (ხალხი თან და თან ჩაქრდება.) ამერიდგან ისპობა ჩვენში სიბნელე და მაშასადამე აქ აღმოცენდება ნამდვილი ცხოვრება. მზე მისთვის გვინდოდა, რომ, რაც გვაკლია ის ყოველივე მოგვნიჭებოდა და აი მზე ჩამოეშვით. მაშასადამე განიხარებს ჩვენა ბუნება, აღმოცენდებიან მცენარეები, აჩქრილდებიან წყაროები, ბუნებას გაეხსნება ხშული კარი და იგი თვის უხვ კალთას დაგვაბერტყს ჩვენც. დიად, ჩვენ მივალწიეთ ამ ბედნიერებას. ვინ იცის რამდენათ დაგვიჯდა ჩვენ ამის მიღწევა! რამდენი ტანჯვა, რამდენი მსხვერპლი, რამდენი ძვირფასი სისხლი დაღვრილა ამ მიხნის მისაღწევათ, ვინ იცის რამდენ დიდებულ აღამიანის სულიერი ძალ-ღონე შელევია ამ სანატრიონისათვის ბრძოლას, მაგალითად ჩვენ შორის ფიცხელა და მისთანანი, ბრძოლის ველზე დალიეს სული, მაგრამ უამისოთ ხომ არსად არაფერი არ ვაკეთებულა. პირ იქით, მით უფრო დასაფასებელი და ძვირფასი უნდა იყოს ჩვენთვის აღსრულებული საქმე, რომ იგი ჩვენის სისხლით, ჩვენის მარჯვენით არის მოპოვებული. და აჰა, თავისუფალნო, ეს არის დაგვიდგადლე, პირველი დღე თავისუფლებისა.

მადლობა და ქება მათ საშვილიშვილო, იმ შეუმჩნეველ, მაგრამ შეუღრეკელ გმირებს, ვინაც ეს ნიადაგი გაგვიმზადა და გამარჯვება ჩვენ, უკვე თავისუფლებს, გამარჯვება პირველ თავისუფლების დღეს!

**ხალხი.** გამარჯვება, გამარჯვება!

**სახიერი.** მხოლოდ უნდა მოვაგონოთ, თავისუფალნო, რომ ამ თალის დანგრევასთან ერთად ჩვენ გავანადგურეთ წინანდელი ჩვენი მთავრობაც. როგორც იცით გუშინ დიდი შეტაკება მოგვიხდა ჩვენა და მთავრობას, და ისინი ძლეულ იქმნენ. დედოფალი მოკლულია. ქურუმთ-ქურუმი ჩამომღრჩვალი უნახავთ თავის საწოლში. მთავარი გაპარულა; ბინდია და ლუკლუკა ახლავს თურმე. მაგრამ ჩვენ ეს არაფრათაც არ მიგვაჩნია. ჩვენ ესლა სხვა გვაქვს გამოსაწყობი. ჩვენ გავიმარჯვეთ, მაგრამ გამარჯვება ავალებს!.. თავისუფალ ხალხმა უნდა თავისუფლათვე აირჩიოს თავისი მოქმედი პირები, რომ



ვერაინ მედროვემ ვერ ისარგებლოს ამ შემთხვევით და ხელით ვერ იგდოს გამგეობა. (შორიდან მოისმის: „გაუმარჯოს უშუყვეზირს!“ უველა იქით მიაუურებს. სმაურება მატუფდასს.) ეს რა ყვირილი მოისმის?

**I-ლი.** უშუყვეზირს ულოცავენ გამარჯვებას!

**სახიერი.** უშუყვეზირს?

**I-ლი.** დიად. აკი თავის ხელით დაუკლავს დედოფალი!

**სახიერა.** მერე რა ვუყოთ! აარა, თავისუფალნო, აქ საფრთხეა! დიდი დაკვირება გვმართებს. სად არის უშუყვი?

**I-ლი** დილიდანვე ხალხი თან დასდევს და ზეიმით ეგებება. ეხლაც იქ გამოჩნდა უთუოდ.

**სახიერა.** წავიდეთ იქ. გავიგოთ რაშია აც არის საქმე. ეხლა მაინც არ უნდა მოვტყუვდეთ.

**ყველანი.** არ უნდა მოვტყუვდეთ, არა!

**სახიერა.** აბა, გავწიოთ. (გადაან ხრათით. შოქდანი კარგა ხანს ცაღიერა. შემდეგ შემოდან ნაზი-ბრფა და მსქესათა. ნაზი-ბრფა თეთრათ არის გამაწყობადა და სეღშიაღ ნაზი, ჩადის ფერი ლოტისის უვაჯილი უჭირავს.)

**ნაზი-ბროლა.** ვერა, მზენათ, ვერა! ჯერ კიდევ ჩვენი გული ნაზ სიმებთაგან არის შემდგარი და როგორც ერთი გაწყდება, მყისვე საშინელ კენესას სულისას გამოსცემს. მეც მეგონა გამოფოლოდდი, გული გამისაკლდევდა, მაგრამ როდესაც საქმე საქმეზედ მიდგა, გონება დაკარგე!.. ჩემს სამყოფში ვიყავ, როდესაც ის საშინელი, გულის შემზარავი ხმაურობა ასტყდა. მაშინვე ვიგრძენ, რომ მთავარს რაღაცა უბედურება ეწია. ის ხმები კარგს არას მოასწავებდნენ. გარეთ გამოვვარდი, მინდოდა რომ ჩემს ძმასთან შევსულიყავ, ეგების რამეთი დავხმარებოდი, მაგრამ გზა ვეღარ გავიგნე. ბნელოდა ირგვლივ. მანათობელი ლითონები სულ ჩამეტვრიათ. ჰოი, ღმერთებო, რა საშინელი ჭახა-ჭუხი ისმოდა გარშემო!.. მაინც მივდიოდი, არ ვიცოდი კი სად. ამ დროს რაღაც სინათლე გამოკიაფდა ერთ მაღაროდან. აღმასის სანათურებით ჩემსკენ მოდიოდნენ. შემნიშნეს და შეჩერდნენ ჩემთან. შემიცნეს. მეთაურმა ორ კაცს გადამცა. მე, წარმო-

იდგინე, არ შემშინებია, მხოლოდ იმდენი სულმდაბლობა გამოვიჩინე, რომ ჩემი ძმის სიცოცხლე შევთხოვე. გრძნობას ვერ მოვერიე. კარგათ იცი, როგორც მიყვარდა. იმათ მამცნეს, რომ მთავარი, ბინდია და ლუკლუკა გაქცეულიყვნენ. -- აღარც მივდევთო, მიპასუხა ერთმა ბრგე ვაშკაცმა. მზეჭაბუკი უნდა ყოფილიყო. მე კი მაინც დღევანდლამდე ერთს საპატიო ალაგს მამყოფეს. დღეს კი გამომიშვეს თუ არა, მყის ჩვენ სამყოფელში გავემურე. რა საშინელი სანახავია, მზენათ!

თალი პირველათ იქ გაუნგრევიათ. ყოველივე მიღეწილია, დამტვრეული. ჩვენი ყვავილებიც, ეს უცხო და ვერე ძნელათ ნაზარდი ყვავილები... ო, როგორ უყვარდა საბრალო ჩემს ძმას!.. ვინ იცის ეხლა სად არი?.. მოისვენებს კი მისი ტანჯული გული?!.. უთუოდ ისევ ჩვენ ვებრალებით... ნეტა თუ იცის სურათას სიკვდილი? ჩემი სიცოცხლე! როგორ უყვარდა ეგ უღირსი ქალი... არც წავიდოდა. ძალით გაიტაცეს უთუოდ ბინდიამ და ლუკლუკამ... საბრალო, ლუკლუკა! -- როგორ საცოდავებს გვეძახოდა ყველას!.. (თავადი გაუმტკრდება. უეცრად უვაჯის გადასეჯავს.) ჰო, ეს ყვავილიც იქ ვიპოვნე. ძირში გადატეხილიყო... (ეფერება უვაჯის.) იქვე მიწოლილიყო ნაზი ადამიანივით. სახიერება კი შეენახა. გულმა ვერ გამიძლო, თან წამოვიღე... სხვები, სხვები სულ დამეტვრიათ და გაენადგურებინათ იმ ბარბაროსებს...

**მზენათ.** ნაზი-ბროლა! ვერე გრძნობამ როგორ უნდა გაგიტაცოს, რომ ბარბაროსები უწოდო ჩვენს განმათავისუფლებელთ... რა ვუყოთ მერმე თუ ყვავილები დაჭკნა, თუ ძვირფასი თვლები და მორთულობა მიღეწე-მოღეწილია! სამაგიეროთ მთელი ხალხი ეწია ბედნიერებას, მთელმა ქვეყანამ თავისუფლათ ამოისუნთქა. ჩვენ ბუნების წიაღში ძვირფასს თვლებს რა დაღევს, რომლებიც მზის შუქზე ერთი ათასად აელვარდებიან და ვარდები კი ერთი ათასად უკეთესი აღმოცენდებიან; უფრო ცოცხალნი, უფროც მრავალფერი, მამ ბარბაროსებს როგორ ეძახი განმათავისუფლებელთ?!

**ნაზი-ბროლა.** ვიცი, ვიცი, მზენათ,

ყოველივე. შენ მართალი ხარ, მაგრამ...  
ოჰ! გული მტკივა, გული. რასაც  
შეფრდილვარ, რაც ბავშვობიდანვე სა-  
ლერსოთ და სათაყვანოთ მიმიჩნევია,  
რასთანაც ათასგვარი სიყმაწვილის მოგო-  
ნება მაქვს შექსოვილი, ესე ადვილათ  
გულს არ ეთმობა. ეგ ძნელია ჩემთვის,  
მთლად ვერ ვერ შევიცვლები! გონება  
სხვას ამბობს და გული სხვას!

**მზენათ.** დამშვიდდი ცოტა. ძალ-ღონე  
შემოიკრიბე და დასძლევ მაგასაც. აკი  
შენ სხვაც გაქვს გამამხნევებელი მიზეზი.

**ნაზი-ბროლა.** ო, დიად. ჩემი ზენისი,  
ჩემი ღვთაება. მხოლოდ ეგ ერთი...  
ხალხი? მისთვის მუშაობა? არა, მე ხალხს  
რაში გამოვადგები? მისთვის მხოლოდ  
აქამდის ვიყავ საჭირო. მაგრამ აწ კი  
რაში გამოვადექი? მხოლოდ სიტყვებით  
და გულ-წრფელი სურვილებით. მან უკვე  
თავის მიზანს მიაღწია. ეხლა მისი მე  
თვის მეკრძალება... არა! ჩემს გულში  
მზაკვარობა არ არის. მერიდება ამ ძალ-  
თა-ძალის! ეს რალაც ტალღაა დიადი და  
შემოუვალი. ჩემთვის უცხოა იგი... დიად,  
მშთენია მხოლოდ ზენისი. ის სულ სხვა  
გზით მავალი კაცი—ამაყი, ზვაი!..

**მზენათ.** მესმის ეხლანდელი შენი სუ-  
ლიერი განწყობილება... მაგრამ გამხნე-  
დი. პირ-იქით ეხლა იმის მავალითი უნდა  
გვიჩვენო, რომ მზე შენთვისაც საჭირო  
იყო. რომ იგი დიდსა და პატარასთვის  
ერთგვარ სანატრელი იყო. მაგრამ აი  
ზენისიც. მე ვაგვეცლები. კარგა ხანია,  
ალარ გინახავს.

**ნაზი-ბროლა.** დიად, იმ დღის შემდეგ.  
(გაიხედავს.) მართლა აქ მოდის. ნახვამდის,  
მზენათ, ჩემო კარგო ამხანაგო.


**მზენათ.** იყავ მშვიდობით! (მადის.  
შემოდის ზენის. თაღხები აცვავ, უბვირგვი-  
ნოა; ჩაფიქრებული).

**ნაზი ბროლა.** ზენის საით?

**ზენის.** (შეკრთება). ო, ნაზიბროლა!  
შენ ცოცხალი ხარ?

**ნაზიბროლა.** როგორცა მხედავ. ვცო-  
ცხალვარ მიტომ, რომ ერთის მხრით ჩემი  
საბრალო ძმა ვიგლოვო და მეორეს  
მხრით შენის ნახვით ვიყო ბედნიერი.

**ზენის.** არა, ნაზიბროლა! არც გლოვა,  
არც ბედნიერება.—თვალის ახელა!

**ნაზიბროლა.** როგორ, შენ კვლავ  
გინდა ამ აბოზოქრებულ ტალღას წინააღ-  
უდგე?!  


**ზენას.** სწორეთ, დადგა დრო. ეს  
უმწვერვალესი წამია. მე ვერ დავთმობ  
ამას. ის, რაშიაც მუდამ ხალხს ვამხილებ-  
დი, რასაც ჩემი ცხოვრების დღენი ვემსა-  
ხურებოდი, უკვე თვალწინ დგას. მან  
ხორცი შეისხა და საშინელის უტიფრო-  
ბით წინ მოადგამს ნაბიჯს. არა, მას  
მთელის ჩემის არსებით წინ უნდა აღეუ-  
დგე.

**ნაზი ბროლა.** როგორ? რას აპირებ?

**ზენის.** მე ხომ მუდამ მას ვამბობდი,  
რომ ხალხს მარტო მზე ვერას უშველის—  
მეთქი! რომ იგი ვერ მოსპობს მათ შო-  
რის უსამართლობას, რომ იგი ვერ დაამ-  
ყარებს საყოველთაო სათნოებას—თქო.  
აი პირველი მავალითი და საუკეთესოც.  
ხალხი მოთავთ უშუყ-ვეზირს ირჩევს.

**ნაზი-ბროლა.** როგორ ამ ქვემძრომს,  
ღრიანკელსა?

**ზენის.** რაც გინდა ის დაუძახე, მაგი-  
თი საქმე როდი იცვლება, და აი სიბრმა-  
ვე ხალხისაც. იმისთვის, რომ მან დედო-  
ფალი მოკლა, იმისთვის, რომ მან იცის  
ხალხის სუსტი მხარე—თუ საით მოუა-  
როს, რომელ მის სიმს დააჭიროს ხელი,  
ამისათვის ხალხს იგი მიაჩნია მის კეთი-  
ლის-მყოფელათ და თვის მეთაურათ ირ-  
ჩევს. მერე რა შეცდომაა? და რათ ხდება  
ეს შეცდომა? მიტომ რომ ხალხი ბრმაა,  
ხალხი ტყუვდება ხელოვნურის ნიღბით.  
მერმე ეს ხალხი დაამყარებს სამართლიან-  
ობას, ეგ შეიქმს დიდებულ სამთავროს  
თანასწორ და თავისუფალ ადამიანებისას?  
არა, ათასჯერაც არა!! ჯერ თვით ხალხი  
უნდა შეიცვალოს, ჯერ თვით მისი სული  
უნდა ამაღლდეს იმ მწვერვალამდე, საცა  
სრული შეგნებაა თავის თავისა, საცა  
არც შური, არც სიძულვილი და მათგან  
გამომავალი ათას-გვარი მოხერხებულობა,  
თვალთ მაქცობა არ არსებობს, არამედ  
არის კაცი სხეულითაც სრული თავისუ-  
ფალი, დამოუკიდებელი, გულ-ღიათ  
მგრძობი, გულ-ღიათ მოფიქრალი და  
მაშინ არ მოხდება არც ერთი ტლანქი  
შეცდომები, არც არა გვარი დამჩავგრე-

ლობა; მაშინ ნამდვილათ გამოიყენებენ მზეს და მის ცხოველ-მყოფელ სხივებს.

**ნაზი-ბროლა.** ზენის, შენ შორს მიდიხარ!.

**ზენას.** ახლოს არც დამედგომება. აქაური ჰაერი მალჩობს, აქ ისევ კაცთ უსამართლობა მყარდება, ერთის დამჩაგრეულის ბუნავზე, მეორე იკეთებს ახალს და შეიძლება უფრო მტკიცე ბუდესაც.

**ნაზი-ბროლა.** არა, ზენის, შენ მაგას არ იზამ, შენ არ ეტყვი ხალხს ამ შენს შეიძლება დიდ სიმართლესაც. შენ მართალი იყავი; იგი ვერ გიცნობს შენ და ვერც ეხლა გაიგებს. თვით მე, რომელსაც ეგრე მიყვარხარ, რომლისთვისაც ყოველი შენი სიტყვა კანონია, მე მესმის, მაგრამ ვერ თანაგიგრძობ. ეგ რალაც მეტათ შორია, მომიტყევე, შეუძლებელიც. კაცი, სანამ მას ხორცი აქვს შესხმული, მე ესე ვგონებ, მუდამ თან ეხლება გრძობა სიძულვილისაც და სხვა გრძობაც ეგრე მდაბალი. კეთილი და ბოროტი თვით ჩვენ ზღაპრებშიაც მუდამ იბრძვიან. მერე განა ისინი უქმი გონების შექმნილია?... აი, შენც ცად მიიწევი, მე კი აქ ვიჭერ. მე ჩემს სიყვარულამდე მინდა ჩამოგიყვანო...

**ზენის.** ჰმ... შენი სიყვარული?... უმანკო ბავშვო, ეგეც ცის ნიჭია, იქიდან ჩამოფრენილი უცხო რამ არსება. მისი ფრთების ქნევა და მისგან გამოწვეული სანეტარო რამ ნიავი, კარგათ იცრ, მეც მაჯადოვებს ჩემო ტურფავ, განა შემოძლია მაგას წინააღმდეგ? აკი ვმორჩილებ კიდევ სრულიად... (ხედას მჭკვიდებს.) ჩემო კარგო, ერთათ ერთი სასიხარულო შენა მყევხარ!..

**ნაზი-ბროლა.** ჩემო ზენის, ჩემო ღვთაება!.. (გული აუჩქალებს და მკედს მიეკვრება.) ვიტანჯვი დიდათ!.. მომისალობუნე! ობოლი ვარ. ეხლა ვგრძნობ, რომ რალაც საშინელი რამ დავკარგე! არაფერ, არაფერი არა მყავს... ეს ქვების გრიალი... ოჰ, რა საშინელი ხმაურობაა ჩემთვის! მე თვით ვეტრფოდი თალის გარღვევას არ მეგონა თუ ესეთი შემზარავი ბოლო მოყვებოდა მას... შენა ხარ ერთი, ჩემი ყველაფერი .. ტირილი მინდა, ვერ გამიძლია!.. (ტირის).

**ზენას.** ნაზი-ბროლა, ნაზი-ბროლა.

(ჩაიხუტებს. გასმის გრადი და სმენი: „უშუეს გაუმარჯოს, მზეს გაუმარჯოს, მზეს გაუმარჯოს...“ და ზენისი ორივენი მკვლამკვლამ და ზენისი თითქო გამეკრეკვა.) დახედე, რას იძახიან! ო, თქვე-ბრმებო, თქვენა! (გაიწევს წასასვლელათ.)

**ნაზი-ბროლა.** საით? არ გაგიშვებ! (ეყარება. მაგრამ ამ დროს ხრიალით და ეივინით შემოდან უშუუ-გეზირი, მუშები და ხალხი. უშუუ-გეზირი ხედავთ ატაცებუდი მოყავთ; რამ შემოვლიან წრეს გააკეთებენ და შუახე უშუეს ჩამოსმენ. ნაზი-ბროლა და ზენისი მოძრებით დგანან.)

**ყვირიან.** გაუმარჯოს უშუეს, გაუმარჯოს!


**უშუყა.** კარგია, ძმებო, გეყოფათ! არა ვარ ღირსი ასეთის ზემისა. მე მხოლოდ ის შევასრულე, რაც მოვალეობა იყო ყოველის სინიღისიერის ადამიანისა, მაგრამ... (ხრიალი).

**ყვირიან.** გაუმარჯოს!

**უშუყა.** მე მინდა გითხრათ ჩემი აღსარება.

**ხმება.** ჩუმათ, უშუყა ლაპარაკობს! (სიჩუქე ჩამოყარდება).

**უშუყა.** დღეს გაკვრით ბევრ-გზის მოგახსენეთ ჩემი გულის ნადები, მაგრამ რაკი უფრო ბევრიც ხართ და უფრო სხვა და სხვა ჯგუფთაგანი, ამიტომაც უფრო ვრცლათ მინდა გითხრათ ყოველივე. მე ძველი წეს-წყობილების კაცი ვარ და მაშასადამე ვერ გეყვარებით. (დრტუინვა) არა, მე არ მეშინია ამისი. ვიცი, რომ ჩემი მოძულეც ბევრი იქნება თქვენში. ასე უცებ კაცის შეყვარება არ შეიძლება, მერე იმ კაცის, რომელიც ამდენ ხანს ძველი წეს-წყობილების მარჯვენა ხელი იყო და მაშასადამე თქვენი დამჩაგრელი, თქვენი სისხლის მწოველი. ეეჰ, ჩამოხედეთ ჩემს გულში! ვინ იცის შიგ რამდენი ბოლო ტრიალებს. მე დიდი დამნაშავე ვარ, დიდი და არ ვიცი ჩემს ცოდვებს რითი მოვიწინებ!.. მაგრამ მეც ხომ კაცი ვარ! წარმოიდგინეთ ბავშვობიდანვე მქონდა ის ზნე, რომ წინ გამოვსულიყავ, სხვა ამხანაგებისათვის მეჯობნა ყოველივეში, თამაში იქნებოდა იგი თუსხვა რამ საქმიანი ვარჯიშობა. მე საზოგადო საქმისთვის ვიყავ დაბადებული თითქო და აი მოვიწინებ, რომ წინ წავსულიყავ.



ბედი მილიმოდა. არ მოვიკატუნებ თავს და ვიტყვი პირდაპირ, რომ ცოტა რამ ნიჭი და უნარი შემწევდა: მეც ვიცოდი კაცთა ცნობა, მათი სუსტი მხარე, მათი ღირსება, მათი ნაკლი. მეც ამ მხარეებს ვუარდი გვერდს მოხერხებულათ; ესეთი იყო მაშინ დრო; განა რომელი თქვენგანი არ იზამდა მაგას... (დრტვიზა) ნუ იტყვი, რომ არაო. ათასში ერთი შეიძლება, მაგრამ ის ხომ დაჩაგრული იქნებოდა მუდამ... და აი მეც გავცურდი ცხოვრების ზღვაზე: მივალწიე პირველ ვეზირობას. დავიწყე საქმიანობა, პირველხანათ მწამდა კიდევ ჩემი მოქმედება, ჩემი მიზანი. მეგონა, რომ მე მართალი ვიყავ, რომ ის წეს-რიგი, რომელსაც მე ვემსახურებოდი საუკეთესო იყო, რადგან არა მჯეროდა-რა ხალხის შეგნების, მისი მომზადების. მაგრამ გადიოდა დრო და ყოველ განვლილ დროს მოქონდა ჩემთვის შეურყეველი მაგალითი ჩემის შეცდომისა მთელი ჩვენი გამგეობის შეცდომისა. მივხვდი, მაგრამ გვიან-ლა იყო! მე და ჩემისთანები ველარას გავაწყობდით. თვით ხალხს უკვე შეგნებული ჰქონდა თვისი მოწოდება და იგი მედგრათ მიდიოდა მიზნისაკენ.

**ხმები.** მშვენებრად ლაპარაკობს! ვინა სთქვა, რომ ბოროტი არისო? ოო, ჭკვიანი კაცია!

**უშუყი.** ამიტომაც იყო, რომ ბოლონდელ სათავისუფლო კანონებს მთავართან ერთათ მეც მხარს ვუჭერდი. უთუოთ გენახსოვრებათ, რომ ამისათვის ჩემს წრეშიაც ბევრი მტერი გავიჩინე, მართო ქურუმთ-ქურუმი და დედოფალიც მეყოფოდა... ოო, დედოფალო! იმას რომ უმისოდაც თავიდანვე ვეზირებოდი, რადგან მუდამ-ჟამ მის ბინძურ გულის თქმათ ვეწინააღმდეგებოდი. შეიძლება მისთვისაც, რომ მე მთავარი პირადათ დიდათ მიყვარდა. მე მინდოდა, რომ...

**ნაზი-ბროლა** (წინ წამოვა) სტყუის ვეზირი!...


**ხმები.** ნაზი-ბროლა!

**უშუყი.** (დაინახავს ნაზი-ბროლას. გაქდავანათ) საბრალო ბავშო, შენ ცოცხალი ხარ?

**ნაზი-ბროლა.** დიად და მე მაგ ტყუილებს ვერ მოგიტმენ. აბა რას ამბობ და გულუბრყვილო ხალხს რაებს მოუთხრობ?!  
 თუნდა ის ავიღოთ: დედოფალს შენ რათ ეწინააღმდეგებოდი? მიტომ ეწინააღმდეგებოდი ის ბოროტო იყო და პირად სურვილებთა მიმდევარი, მაგრამ კარგათ ესმოდა თუ რა განძახვაც გიტრიალებდა გულში! შენ გინდოდა მთავარი, როგორც სუსტი ხასიათის კაცი სრულიად ხეელში ჩაგეჭირა და, როგორც გსურდა ისრე გემართა სათათბიროს საქმეები. ტყუილია, რომ შენ ვიყვარდა მთავარი. შენ მას მხოლოდ ეკრძალებოდი და ისიც ეკრძალებოდი ქურუმთ-ქურუმის და დედოფლის შიშის გამო. ამიტომ კი მათ ორივეს ზურგს უკან, ფარულათ, რითიც შეგეძლო ეწინააღმდეგებოდი, მაგრამ ნამდვილათ კი მათი შემწე იყავ და მათ სურვილს კი ერთჯერაც ვერ გადახველ! მაგალითისათვის აბა გაიხსენონ უკანასკნელი თათბირი მთავრის სასახლეში როგორ მოიკუნტე, როდესაც ქურუმთ-ქურუმმა შენზე იერიში მოიტანა. ესლა ხალხო, ერთი გასინჯეთ, რომელია მის ნათქვამში მართალი: ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ მათი შემწე კი იყო, ეწეოდა კი, მაგრამ ეწინააღმდეგებოდა... სად არის აქ სიმართლე, ან რათ სჭირდება მას ეს ტყუილები?..

**ხმები.** დახეთ ნაზი-ბროლს?! რაებს ამბობს! სტყუის უშუყი! გაუმარჯოს უშუყს!  
**ნაზი-ბროლა.** მაგრამ ვიცით რათაც სჭირდება ეს ტყუილები...  
**უშუყი.** (განზე) გველის წიწილი!  
**ნაზი-ბროლა.** იმისთვის, რომ ხალხს ესლა სხვა-გვარ მოუაროს გვერდი და უფროსობა მაინც ხელში შეიკრინოს...  
**უშუყი.** მაკადე, ნაზი-ბროლა! შენ ჯერ ბავშვი ხარ და არ იცი ყოველივე, რაც სჭირდება, ან უკეთ, სჭირდებოდა წინეთ სახელმწიფო მოღვაწეებს. ისეთი დრო იყო, რომ სხვა-გვარ ვერ მოიქცეოდით, კაცი კი დროს და ალავს უნდა შეეფერებოდეს. შეიძლება განყენებულ მოაზრებისათვის ესეც სასაყვედურო იყვეს, მაგრამ ჩვენ კი მაშინ მაინც ასე გვწამდა. მერწმუნეთ, სახელმწიფოს მართვა-გამგეობა იმ ზომამდის რთულია, რომ იქ მართო გულ-წრფელობით ფონს ვერ გახვალ. მეც აგრე ვიქცეოდი და თუ ეს დანაშაულია, აკი აქ იმიტომ ვლაპარაკობ აღსარებას, რომ ყოველივე ჩემი შე-

თუნდა ის ავიღოთ: დედოფალს შენ რათ ეწინააღმდეგებოდი? მიტომ ეწინააღმდეგებოდი ის ბოროტო იყო და პირად სურვილებთა მიმდევარი, მაგრამ კარგათ ესმოდა თუ რა განძახვაც გიტრიალებდა გულში! შენ გინდოდა მთავარი, როგორც სუსტი ხასიათის კაცი სრულიად ხეელში ჩაგეჭირა და, როგორც გსურდა ისრე გემართა სათათბიროს საქმეები. ტყუილია, რომ შენ ვიყვარდა მთავარი. შენ მას მხოლოდ ეკრძალებოდი და ისიც ეკრძალებოდი ქურუმთ-ქურუმის და დედოფლის შიშის გამო. ამიტომ კი მათ ორივეს ზურგს უკან, ფარულათ, რითიც შეგეძლო ეწინააღმდეგებოდი, მაგრამ ნამდვილათ კი მათი შემწე იყავ და მათ სურვილს კი ერთჯერაც ვერ გადახველ! მაგალითისათვის აბა გაიხსენონ უკანასკნელი თათბირი მთავრის სასახლეში როგორ მოიკუნტე, როდესაც ქურუმთ-ქურუმმა შენზე იერიში მოიტანა. ესლა ხალხო, ერთი გასინჯეთ, რომელია მის ნათქვამში მართალი: ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ მათი შემწე კი იყო, ეწეოდა კი, მაგრამ ეწინააღმდეგებოდა... სად არის აქ სიმართლე, ან რათ სჭირდება მას ეს ტყუილები?..



ცოდება მოგიტხრათ, რადგან მინდა ვა-  
ცოდინოთ, რომ მეც კაცი ვიყავ და თუ  
შეცდომები მომდიოდა, უფრო იმიტომ  
რომ, რასაც ვაკეთებდი ის საუკეთესო  
მეგონა. მერმე კიდევ არ მინდა განუს-  
ჯელათ და განუკითხავათ დავიღუპო.

**ხმება.** ჭკვიანი კაცია! ვაშა, ვაშა  
უშუეს!

**უშუყი.** რათ მაწყვეტინებთ! მე მინ-  
დოდა ის მეთქვა, რომ ბოლოს სრულიად  
შევიცვალე. რათა? დავრწმუნდი, სიმართ-  
ლე საითაც იყო—ხალხისაკენ და აი პირ-  
ველ მის იერიშს მეც მხარი დავუჭირე  
და ჩემის ხელით დავკალ დედოფალი...

**ნაზი-ბროლა** ჯალათობა არასოდეს არ  
არის საქები.

**ხმები.** დიდათ დავგავალა! გაუმარჯოს  
(ჯარედან შიშისმიხსნა: „ძიხს, ძიხს“!  
და შემოდან სხიერა და მისი ჯგუფი. მათ  
შიხის მუხნათაც).

**სახიერი.** ძიხს უშუყი! ძლივს არ მო-  
ვაგენით. აი სად ყოფილა! (საერთო უფი-  
რია. დამხუდრები „კაუმარჯო“-ს უფიანს  
შამსუფლებები—„ძიხს“).

**უშუყი.** (აზუშუბს.) გამიგონეთ! აი რო-  
გორ მართლდება ჩემი სიტყვა. მე ვიცი,  
რომ მოძულენი ბევრი მყავს. ამიტომაც  
გითხარით აღსარება, თორემ მერწმუნეთ,  
რომ მე არავითარი თანამდებობა არ მინ-  
და წარგტაცოთ. მაშასადამე ტყუილა  
მწამებენ ცილს, ჩემი საქციელი ამ ყაბათ  
უანგაროა და თანამდებობა?.. ისიც კი,  
რაც ერთმა ჯგუფმა მომაკუთვნა ამ ცო-  
ტა ხანში—დროებითი ხელმძღვანელობა  
თალის გარღვევის და საერთო მოძრაო-  
ბისა,—უარ მიყვია დიდისა და მორჩილ  
მადლობის შეწირვით.

**ხმები.** რათ ამბობს უარს? ჩვენ გესურს  
დარჩე! ვინ აირჩია, ვინ აკუთვნა? ჩვენ  
ავირჩიეთ!

**უშუყი.** და თუ დავთანხმდი ამ დროე-  
ბით ხელმძღვანელობაზე, ესეც იმიტომ;  
რომ მეშინოდა საერთო აღტაცების დროს  
უბედურება არ დატრიალებულიყო. მაგ,  
თალის გარღვევის დროს ქვებს ქვეშ არ  
მოჰყოლიყო ხალხი. ამისათვის იყო, რომ  
იმ ადგილებში, საცა ჩვენ ხუროთ-მოძ-  
ღვართაგან გამოანგარიშებულია თალის  
დარღვევა, დარაჯები დგას და არავის  
უშვებს. ჩემის ფიქრით ეს პირველი მო-

ვალეობა იყო ჩვენი და აი საერთო დახ-  
მარებით კიდევ მაგაზე ვიზრუნებდით  
**სახიერი.** მიკვირს ძალიან—ვინ მოგ-  
ცა ნება, უშუყ-ვეზირო, რომ მოძრაობის  
ხელმძღვანელობა გიკისრია. თუ ერთმა  
ჯგუფმა მოგანდო შენ ეს, მთელ ხალხს  
არ გვინდობარ, შენ ჩვენ ვერ გამოგვად-  
გები და არც არას განდობთ შენ! ჩვენ  
გვყავს კაცები და ავირჩევთ კიდევ იმათ.

**უშუყი.** (დაცხივით) მერე მე განა წინა-  
აღმდეგი ვარ მაგისი? მე უარ-გყოფ-მეთქი  
იმასაც კი, რაც ერთმა ჯგუფმა, პიტვი  
მცა და სითავაზით დამაკისრა. მე ჩემი  
თანხმობის მიზეზიც გამოვთქვი და აქ  
შენ არ იყავ, სახიერო, და არც ეგენი,  
მაგრამ მე მთელი ჩემი გულის ნადები  
ხალხს ვადუშალე. მაშასადამე მე კი არ  
გეტანებით, მხოლოდ რჩევას მოგცემთ და  
მიგითითეთ. თ ღირსეულ კაცზე. კარგათა  
ვხედავ, რომ ჩვენ შორის, ცოტა მიღმა,  
სახელოვანი ზენისი დგას. იმას მიმართეთ:  
აი კაცი ღირსეული და დიდათ საქირო.  
მის წინ ყველამ ქედი უნდა დავხაროთ

**უმეტესობა.** ოო, ზენის, ზენის! ვთხო-  
ვოთ, ვთხოვოთ!

**სახიერი.** დიდა მგოსანო! მე სრულიად  
ვეუბრდები მოძმეთა ხმას და გთხოვ ყუ-  
რად-ილო ჩვენი მოთხოვნა. (ნაზი-ბროლა  
რადსაც ჩუმათ ელანარაგება ზენისს).

**ხალხი.** ვთხოვთ, ვთხოვთ!  
**ზენის.** (წინ წამოაწეოს) იცით კი რასა  
მთხოვთ?

**ვინმე.** უფროსობასა, მეთაურობას!  
**ზენას.** უგუნურებო! მერე იცით კი  
რას ჩადიხართ?

**ხმები.** რას ამბობს?—ხომ არ შეშლი-  
ლა?!—გაიგონეთ?

**ზენას.** რათ გინდათ აბა თქვენ უფრო-  
სი?! მაგრამ არა, თქვენ მართლა უფრო-  
სის ღირსი ხართ! თქვენ გინდათ მართლა  
ისეთი უფროსი, რომ ზედ შეგდგეთ და  
გაჯაგლაგოთ... (საერთო დრტვიზა და გა-  
ცხება)

**ნაზი-ბროლა.** რას ამბობს? თავს ილუ-  
პავს!

**უშუყი.** (გესლანათ. თავისთვის) ზოგ-  
ჯერ რა ცუდია მეტის მეტი გამჭირახობა!  
**ზენას.** დიად, თქვენ გინდათ უფრო-  
სი ცრუ და ორპირი, რომელიც სართაც  
მოისურვებს იქით მოგიარსო! რა თქვენს



საქმეა თავისუფლება? რათ გინდათ თქვენ მზე? განა შეგიძლიათ მისი მოხმარება? ოო, როგორ მძულხართ, რა მეზიზღებით!

**ხმები.** ჩვენ შეურაცხვეყოფს! — სწორეთ შეშლილია!

**ნახა-ბროლა.** ზენის, ზენის, რას ამბობ მაგას?

**ზენის.** აბა დაუკვირდით თვით თქვენ პირველ ნაბიჯს! თუნდა სხვა ყველაფერს დავეთხოვოთ, თუნდა შეურიგდეთ იმ აზრსაც, რომ უფროსი საჭიროა. ვის იჩევთ მერე? — კაცს გაიძვერას, ფლიდს და მედროვეს. (სახიყრს და მის ჯგუფს სხე გაუბრწყინდებათ.)

**ხმები.** კარგათ ლაპარაკობს. — ტყუილია! — ეგრე, ეგრე, ვაშა!

**უშუყი.** არ გეკადრება ეგრე შეხება. მე ხომ უარს ვყოფ, შენ გითმობ სრულიად.

**ზენის.** ჩუმათ, ქვემძრომო! შენის ბინძურის გულის თქმითა აქ სად მოდიხარ? კარგათ იცოდეს ყველამ, რომ მე თვით მაგ არჩევანსა არაფრად არ ვაფასებ. მე არ მწამს საზოგადოთ უფროსები, მხოლოდ ხალხის სიბრძავე, მისი ზეცობა!

**სახიყრა.** ხალხს ნუ ეხები! მისი სახელი წმინდაა და მისი მისწრაფება დიადი!

**ზენის.** ოო, უგუნურებო! იცით კი რაშია სიდიადე? სულის სიმაღლეში, სულის თავისუფლებაში! თქვენ კი აბა საიდან გაქვთ სული თივისუფალი? ხართ მაგისტვის მომზადებული? შეგიძლიათ თუნდა მედროვეების ზე-გავლენას არ დაემორჩილოთ? შეგიძლიათ შექმნათ ახალი და სრულიად დამოუკიდებელი ცხოვრება ნამდვილ ადამიანთა? განა თქვენ ისევ იმ ხროვას არ წარმოადგენთ, რომელმაც მგელს გამოტაცა თავის თავი, მაგრამ ეხლა მელას აბარებს? თუმცა არა, თქვენ ისევ ისე მალე გიტაცებთ ბავშვური აღტაცება, ისევ ისე შეუძლია წვრილმანმა რამემ მოგზიბლოსთ! თქვენ მხოლოდ კანი იცვალეთ, შინაგნობა კი ისევ ძველია; ისევ ის უსამართლობა, ისევ ის ჩაგვრა დიდისაგან პატარასი, ისევ უფროს-უმცროსობა, ისევ ის დამოკიდებულება უსამართლო ერთი-მეორეში, ისევ ის ძველი ხმები, ძველი კილო! თალი კი გაანგრით, მზე კი ჩამოუშვით! მერე რათ? თვითაც არ გესმისთ! ჯერ არ აღზრდილხართ, ჯერ არ გარდაქმნილხართ თვითონვე თქვენ

და სამართლიანობა კი გინდათ დაამყაროთ ქვეყნათ. არა, მძულხართ დიდის სიძულვილითა, ბრმები და უგუნურები!

**ხმები.** როგორ გვიბედავს! — ამის მოთმენა არ შეიძლება!

**უშუყი.** რა შეცდომაა! თურმე მეც შევეცი! არა, ხალხო, უკან მიმაქვს ჩემი სიტყვა ზენისის შესახებ. იგი არ არის ღირსი შენის დაფასებისა. იგი მოღალატე ყოფილა. ეს რაები სთქვა! ხალხმა ძლივს მოიპოვა თავისუფლება, ძლივს მზეს ეღირსა და ეხლა მას უნდა გაუქარწყლო მისი დიადი მნიშვნელობა? ტბაში გადაუგდო მისი ნაამაგარი? მაშ შენ ძველი წესის მომხრე ყოფილხარ! ქურბთ-ქურბშიც რას ამბობდა, თუმცა შეიძლება სხვა სიტყვებით. ისიც არ ამტკიცებდა მზე რათ გინდაო? დაგწავთ მისი მცხუნვარებაო!.. არა, ვინც ხალხს მზეს ძალით უბზობს...

**ზენის.** მე ვუბნობ ხალხს მზეს!

**უშუყი.** იგი სასჯელის ღირსია!.. მაგის მოთმენა ხალხს აღარ შეუძლია. იგი დააღრჩობს მას თავის ხელით, ვინც მას წინ ელობება! ეს მე კარგათ შევიგნე. მაშ თუ ეხლავ უკან არ წაიღებ შენს ნათქვამსა სასჯელის ღირსი ხარ შენც.

**ხალხი.** დაიბრუნე შენი ნათქვამი!

**ზენის.** (მწარეთ გაიღიბებს.) უკან წავილო, დავიბრუნო? რა? ჩემი აზრი, რომლისთვისაც ვცხოვრებდი ქვეყნათ, რომლის შემუშავებასაც შევსწირე ჩემი ღღენი, რომელსაც ვკადაგებდი მუდამ, ყველგან და ყოველთვის, რომელიც შეადგენს ჩემს რწმენას, ჩემს წმიდა წმიდათას, ო, რა უგუნურები ხართ!

**ხალხი.** კვლავ შეურაცხვეყოფს, ველარ მოვითმენთ!

**უშუყი.** ხედავთ თვით ამბობს და კვლავ ამტკიცებს, რომ იგი მოღალატეა. რომ იგი მუდამ ამ აზრს ემსახურებოდა. და რა აზრია მერე? თვით არასთქვა — მძულხარო. ჰმ! — ხალხის სიძულვილს!... არა, ხალხი არ აპატიებს, ან უარყოფა მისი აზრისა, ან სიკვდილი მაგას!

**ხალხი.** სიკვდილი, სიკვდილი!

**ვინმე.** ჩაქოლვა მაგას!

**ხალხი.** ჩაქოლვა, ჩაქოლვა!

**სახიყრა.** რას ყვირით აბა! ხომ არ

შემოიღებართ? ვიხედ იღებთ ხელს? დიად კაცხედ?..

**უშუყი.** ვინც უნდა იყოს. იგი ხალხის მტერია!

**ნაზი-ბროლა.** ოოჰ, საზიზღარო! ხალხის მტერი თვითონ ხარ შენა!

**უშუყი.** აკი მე ჩემს თავზე აღარას ვამბობ. მე ქედი დავხარე და ხალხი თვით განმიკითხავს. მხოლოდ არ მინდა, რომ, როდესაც უკვე შევიგენ ამ ხალხის მისწრაფება, იგი შეურაცხყოფნა ვგრე უტიფრათ და მას წინ გადაეღობონ. არა ყველა ხალხის მოღალატეს სიკვდილი, ჩაქოლვა!

**ხალხი.** სიკვდილი, ჩაქოლვა!

**სახიერა.** ჰოი, ღმერთებო! რას შევესწარით! ხალხო, ჰკუა ხომ არ დავბნევი შენ უსმენ შენს სისხლის მწოველს, შენს დამჩაგვრელსა, რომელსაც კვლავ ხელში უნდა ჩაგიგდოს და სასიკვდილოთ იმეტებ დიად კაცს. დიდებულ მოაზროვნეს, რომელიც შენი თანახმა არ არის, მაგრამ შეიძლება დიად სიმართლეს კი გეუბნება! რა ვუყოთ მერმე თუ არ მოგვწონს მისი სიტყვები?.. ჩვენ ეხლა აღტაცებული და გაბრუებული ვართ ჩვენის გამარჯვებით, მაგრამ გონება მაინც იმდენათ არ უნდა დავკარგოთ, რომ ჩავიდინოთ უსასტიკესი უსამართლობა!

**უშუყი.** ხალხმა ვადასწყვიტოს ამისთანა უდიდეს წამს შეიძლება თუ არა მის შეურაცხმყოფის პატიება?

**ხალხი.** სიკვდილი, ჩაქოლვა!

**სახიერა.** რას ლაპარაკობთ? გონს მოეგეთ:..

**ზენის.** დაიცა, სახიერო! ტყუილა ცხარობ! მე ამას მოველოდი! ხალხს არ აქვს იმდენი ადამიანური სიმხნე, რომ მწვაფი სიმართლე დამშვიდებულათ მოისმინოს და სწორეთ იმიტომაც ვეძახი მას უგუნურს. ბრმას!

**ხალხი.** კვლავ შეურაცხვეყოფს!

**ზენის.** დაე, მომკლან! რაა სიკვდილი? ეს უკანასკნელი სტრიქონი ბუნების ნაწარმოებისა. წიგნი ერთჯერაც არის ხომ უნდა დაიხუროს, მაგრამ აზრს რას უზამთ აზრს, რომელიც ჩაქვდო თქვენს ტვინს, მოედო თქვენს გულსა და გრძობას! მას ვერც ჩაქოლვით მოსპობთ და ვერც ვერა სხვა გვარის სიცოცხლის წართმევით! ესეთ ურდო. ხალხში გარდა მყვირალა

ვაჭბატონებისა არიან კიდევ რომოდენიმე, რომლებიც შეიძლება ვერ შეცვალებულან ხმა, მაგრამ მათ გონებასა და გულს კი ეხლავე ჩაქვდო ჩემი აზრი, ჩემი მისწრაფება... დიად, კიდევ ვიტყვი: ჯერ თვით შეიცვალეთ, ჯერ თვით აღიზარდენით, გახდით სრული თავისუფალი ადამიანები, ჩამოიშორეთ ყოველი მხეცური მხარე, რომელიც არცხვენს ადამიანურს პიროვნებასა და შემდეგ გაარღვიეთ თალი, შემდეგ ჩამოუშვით სანეტარო მზე.

**ნაზი-ბროლა.** (სახე სრულიად აქლანძს) ზენის, ზენის!

**ზენის.** (არ უყურებს) ეხლა კი გეტყვი, რომ მძულხართ მთელის ჩემის არსებით, მთელის ჩემის დიადის საძულველითა!.. აი ჩამქოლეთ! (ერთ წამს ხაღხი თათქა რადამაც შეიპურაფო, გაუნძრეფლათ სდგას.)

**უშუყი.** რაღას გაშტერდით! (ყველა მუის გამოკრეფვას და მივარდებიან ზენისს ძალით): „ჩაქოლვა, ჩაქოლვა!“ (სახიერი გაცეტსლბოული გაიწკვს უშუყისაკენ. აირვევან ეგვლახი. ზენისი გაცეკვოთ. უშუყს სხვა მხრით გაიტანებენ და სახიერსაც კაკავებენ. ნაზი-ბროლამ ადარ იცის რა ქნას, გავაუბოლააით არის, მხენათა აკავებს. ამ დროს გაანძის საშინდლი გრადი. ნაზი-ბროლა საზარლათ დაიკოვლბენ, შემდეგ სულ მიდუნდბა, თუმცა მაინც იტქირება იქით, საიდანაც ხმა გამოვიდა.)

**ნაზი-ბროლა.** წახდა ყოველი! ბედი! იმედები! გაქრა ყოველი!.. ნუ თუ თვით თავისუფალი ცხოვრებაც უსამართლობისაგან შესდგება?! ჩემი ყვავილი! ბუნებაც თურმე უსამართლოა! ამ შენ ნაზ თავში მხამი აქვს ჩამალული!.. მაშ კიდევ ერთი უსამართლობაც... (შესწრუტავს ეგვლას წკენს. ეგვლით ხელადან გაუვარდბა. ზაუზა.) მზენათ, აქ მოდი, დახედე...

**მზენათ.** რა მოგდის, ნაზი-ბროლა! ფერი არ გაძევს! ააჰ, ნუ თუ საწამლავი მიიღე? რათა საბრალდო? (ნაზი-ბროლა ეგვლას დასჩერება, უეცრათ სრულიად მისხლტება და მწვეკტილივით ძირს დაეცემა, მაინც ხელს ეგვლითსკენ გაიწვდის და მწარე ღიმილით.)

**ნაზი ბროლა.** ჰმ!.. დასკნა ყვავილი! (კადევ ერთი გაურყვლავა და სულს განუტყვებს. მხენათი დაჩქაღლი და მტირალი თავს ადგას.)

(დასასრული)

იაკობ გოგებაშვილის



რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური

# ნაკადული

ტომი პირველი.

იყიდება „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ წიგნის მილაზიაში წიგნი დიდი ფორმატისა და ღირს ერთი მანეთი.

გამოვა 1911 წ. საშუაწვილო ჟურნალი

# ნაკადული

წელიწადი მეშვიდე

ხელას-მოწერა მიიღება ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქციაში.

კალაგინის პრასპექტზე ზუბაღაშვილის სსხდში № 8. და წერაკითხვის გამფრც. საზოგადოების მაღაზიაში, თავ. აზნ. ქარაგსდა)

1911 წლის 1-ლ იანვრიდან 1912 წლის 1-ლ იანვრამდე. წლიური ხელის-მომწერლებს მიეცემა: 24 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის. 36 სურათი, რომელიც ნაკადულის წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული.

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1911 годъ на газету

## „Закавказская Рѣчь“

Годъ изданія третій.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

სვ დоставკ. на домъ:	Въ Тифлисѣ	Въ провинц.
На годъ . . . . .	6 руб.—коп.	8 руб.—коп.
„ полгода . . . . .	3 руб. 50 коп.	4 р. 50 к.
„ 3 мѣсяца . . . . .	2 руб. — коп.	2 р. 25 к.
„ 1 мѣсяць . . . . .	— 70 коп.	— 75 к.

АДРЕСЪ: Тифлисъ, редакция газ. „Закавказская Рѣчь“ Эриванская площадь, домъ Харазовой.

Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“

Редакторъ Р. Д. Бебѣвъ.

Издатели: } Кн. Г. I. Амираджиби.  
                  } П. А. Готуа.

Открыта подписка на 1911 годъ (XXXI-й годъ изданія)

на газету

## „Тифлисскій Листокъ“

Газета будетъ выходить ежедневно, кромѣ понедѣльниковъ и дней послѣпраздничныхъ  
Подписная цѣна: съ доставкой въ Тифлисъ: На годъ — 5 р., на 6 мѣс. — 3 р., на 3 мѣс. — 1 р. 75 к. Съ пересылкой для иногородныхъ: На годъ — 7 р., на 6 мѣс. — 4 р., на 3 мѣс. — 2 р. 50 к.

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1911 годъ на газету

## „ЗАКАВКАЗЬЕ“

(годъ VI).

ПОДПИСНАЯ ЦЕНА:

სვ დоставკოю	отъ Тифлисъ:
На годъ . . . . .	6 руб. — коп.
На полгода . . . . .	3 руб. 50 коп.

სვ пересылкой на другіе города:	
На годъ . . . . .	8 руб. — коп.
На полгода . . . . .	4 руб. 50 коп.

За-границу вдвое.

Для годовыхъ подписчиковъ допускается разсрочка.

Адресъ редакция: на Дворцовой ул. въ домъ грузинскаго дворянства. Телефонъ редакціи № 917. Телефонъ редактора № 1035.

Редакторъ М. В. МАЧАБЕЛИ.

Издатель Д. П. МАДЧАВАРИАНИ.

გამოვიღა

ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი ს

ლ ე ქ ს ე ბ ი.

## „ოცნების კოცნა“

გამოცემა ახვ. „სორაპნისა“. წიგნი შეიცავს 32 გვ. და ღირს 10 კაპ.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

# „ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა ზ ე თ“



წელიწადი მეორე

ყოველდღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

## ს უ რ ა თ ე ბ ი ა ნ ი დ ა მ ა ტ ე ბ ა

დამატება გამოვა კვირაობით

გაზეთის ფასი დამატებებისა: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური, დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი. ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

განაწილება ფასისა: გამოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50 კ.

რედაქცია ღიაა 9—7 საათ.

Тифльсь, р' дакшія „Сахалхо газети“.

## საქართველო ნახატებიანი შუხნალი

# ქეჩილი

ოცდა მეორე წელიწადი

მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისათვის.

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი „ქეჩილი“ ტფილისში ედირება 4 მ., ქალაქ გარედ (გაგზავნით) 4 მან.

ნახევარი წლით 3 მ., ცალკე ნომერი 40 კაპ.

ფოსტის ადრესი: Въ Тифл. № 7 Редакц. Грузинскаго дѣтск. жур. „Джеджили“.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წვერეთლისა.

## მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისათვის

სამეცნიერო—ჰედაგოგიურს და სალიტერატურო ჟურნალ

# „განათლებლება“

(წელიწადი მეოთხე)

ჟურნალი გამოვა ყოველ თვეში, გარდა ზაფხულის ორის თვისა, იმავე პროგრამით, როგორც ამდენხანს გამოდიოდა. ჟურნალი წლიურად ღირს გაგზავნით სამი მანეთი, ნახევარი წლით 2 მანეთი. სოფლის მასწავლებელთათვის წლიურად 2 მანეთი. ცალკე ნომრები გასასყიდად არსად არ გაიგზავნება. დაიბეჭდება იმდენი ცალი, რამდენიც ხელის მომწერნი იქნებიან. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ივანე ავალიშვილთან და „ნაკადულოს“ რედაქციაში, პროვინციებში კერძო აგენტებთან.

მისამართი: Тифлисъ Дворянская Грузинская гимназія Луарсабу

Герасимовичу Боцвадзе